



გრიგოლ
ლორთქიფანიძე

GRIGOL
LORTKIPANIDZE

1881-1937

აკა მორჩილაძე | AKA MORCHILADZE

აკა მორჩილაძე

გრიგოლ ლორთქიფანიძე

AKA MORCHILADZE

GRIGOL LORTKIPANIDZE

1881-1937



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

2021



საქართველოს პრეზიდენტის
ახორციელებული ბიოლოგიის

UDC(უკ)32(479.22)(092)+929(479.22)

მ - 859

ავტორი: აკა მორჩილაძე
Author: **Aka Morchiladze**

რედაქტორები: ანტონ ვაჭარაძე, სალომე ქანტურიძე
Editors: **Anton Vatcharadze, Salome Tchanturidze**

მთარგმნელები: მეგი ქარცივაძე, სოფიო ჯობავა
Translators: **Megi Kartsivadze, Sophio Jobava**

ქართული ტექსტის რედაქტორი: ესმა მანია
Editor of Georgian text: **Esma Mania**

ინგლისური ტექსტის რედაქტორები: მეგი ქარცივაძე, ნინო გოზალიშვილი
Editors of English text: **Megi Kartsivadze, Nino Gozalishvili**

დიზაინერი: ლაშა მაჭარაშვილი
Designer: **Lasha Matcharashvili**

ISBN: 978-9941-8-3251-5



მემორიალური ალბომი მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს ფინანსური მხარდაჭერით. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

Creation of the Memorial Album was possible with the generous support of the Swedish International Development Cooperation Agency, Sida. Responsibility for the content rests entirely with the creator. Sida does not necessarily share the expressed views and interpretations.

შინაარსი

მადლობა	4
აკა მორჩილაძე - გრიგოლ ლორთქიფანიძე	6
ოჯახი - განათლება	24
საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921)	38
რეპრესიები	94
ხსოვნა	128
და ბოლოს.....	156

CONTENT

Acknowledgements	4
Aka Morchiladze – Grigol Lortkipanidze	6
Family – Education	24
In the First Republic of Georgia (1918-1921)	38
Repressions	94
Memory	128
And Finally... ..	156



მადლობა

თქვენ წინაშეა მემორიალური ალბომი, რომელიც ეძღვნება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გამორჩეულ ფიგურას – სამხედრო და განათლების მინისტრს, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს გრიგოლ ლორთქიფანიძეს – პოლიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც სრულად იწვინა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ტირანია და ყველაზე სისხლიან – 1937 წლის სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლა. ეძღვნება დიდ თეორეტიკოსსა და მოაზროვნეს, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს განვითარებისთვის საჭირო და მნიშვნელოვან, თითქმის ყველა საკვანძო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხზე გააჩნდა არგუმენტირებული და ობიექტური შეხედულებები. ეძღვნება ადამიანს, რომელიც გამსჭვალული იყო მაღალი ჰუმანისტური იდეალებით და მოტივებით.

საბჭოთა ბანაკებში გადასახლებული გრიგოლ ლორთქიფანიძის მთავარი ოცნება იყო, კვლავ ეხილა თავისუფალი საქართველო, ისურვა კიდევ, დაეკრძალათ ახალციხეში ან იქვე, სოფელ ბენარაში, „იქ, სადაც ქართველი ხალხის წარსული და მომავალი ერთმანეთს ხვდებოდა და თავისუფალი, აღორძინებული და ფრთა გაშლილი მისი სამშობლო განვითარდებოდა“. სამწუხაროდ, მის ამ მოკრძალებულ სურვილს ასრულება არ ეწერა – შინსახკომის ჯალათების მიერ დაკითხვის დროს სასტიკად მოკლულის საფლავი დღემდე საგულდაგულოდ არის გასაიდუმლოებული...

გვსურს, მემორიალური ალბომის გამოცემაში შეტანილი წვლილისთვის განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, პირადად ბატონ გიორგი კეკელიძეს და ბატონ მირიან ხოსიტაშვილს.

საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს დოკუმენტების და ფოტოების მოწოდებისთვის.

გრიგოლ ლორთქიფანიძის შვილიშვილებს: ქალბატონ ნინო და ნათია ლორთქიფანიძეებს, ქალბატონ მზია ბაკაშვილს, შვილთაშვილს – ბატონ სანდრო ხუბულურს ფოტოებისა და სხვა მასალის მოწოდებისთვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის ლევან რუხაძის შთამომავალს – თამარა სართანიას და მის ოჯახს საარქივო დოკუმენტების მოწოდებისთვის.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოებას და მის პრეზიდენტს, ბატონ პაატა სურგულაძეს – მხარდაჭერისთვის.

გიორგი კლდიაშვილი

ლევან ავალიშვილი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

26 მაისი, 2021 წელი

Acknowledgements

This is the memorial album dedicated to one of the most important and distinguished figures of the First Democratic Republic of Georgia – Minister of Military and Education, Deputy Chairman of the Government, Grigol Lortkipanidze, who experienced the tyranny of the Russian Empire first and then the Soviet Union and, finally, fell victims to the Stalin's repressions of 1937. This album is dedicated to a great theoretician and thinker, who had well-substantiated and objective opinions about key economic, political and social issues that were essential for the democratic development of Georgia. This is dedicated to a man who had high humanistic ideals and motifs.

During his exile into the Soviet labor camps, Grigol Lortkipanidze dreamed of seeing liberated Georgia. It was his will to be buried in Akhaltsikhe or the village nearby – Benara – „where the past and future of the Georgian people met each-other and his revived homeland would develop.“ Unfortunately, his will could not be accomplished – until today, the location of Grigol Lortkipanidze's grave, who was tortured by the executioners of the NKVD, remains secret.

We would like to thank for their contribution to this memorial album the following people and organizations: The heads of the National Parliamentary Library of Georgia – Giorgi Kekelidze and Mirian Khositashvili. The National Archives of Georgia, to the Information-Analytical Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia and the National Centre of Manuscripts for providing us with documents and photos. Grigol Lortkipanidze's grandchildren: Nino and Natia Lortkipanidze, Mzia Baakashvili and the great-grand-child, Sandro Khubuluri for providing us with photos and other kind of materials. Levan Rukhadze's - then the member of the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia - descendant Tamara Sartania and her family for giving us access to documents. Grigol Lortkipanidze's Society and its President, Paata Surguladze for their Support.

Giorgi Kldiashvili
Levan Avalishvili
Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
26 May 2021

აკა მორჩილაძე

გრიგოლ ლორთქიფანიძე

წინა საუკუნეების საქართველოს ტრაგიკულ მოღვაწეთა გალერეაში უდავოდ ერთ-ერთი შთამბეჭდავი და ნაკლებად ნახსენები გმირია გრიგოლ ლორთქიფანიძე - უბრალო ენით, „მენშევიკი“, რომელმაც, როგორც ძველად იტყოდნენ ხოლმე მისი ყაიდისა და ბუნების ხალხზე, „თავი დასდვა ამ ქვეყნისთვის.“

საოცარი ადამიანი საოცარი ცხოვრებით და კიდევ უფრო საოცარი ხასიათით: მოუღლეელი, უტეხი, განათლებული, ნამუსიანი, ჭკვიანი პოლიტიკოსი, რომელსაც სულ ორ წელიწადსა და რვა თვეს მოუხდა სახელმწიფო მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მღვრიე და განუმეორებელ დროებაში, ცხოვრების უმეტესი ნაწილი კი ცარიისტულ რუსეთშია და წითელ რუსეთშიაც გაატარა კატორღაში, ციხეებსა და გადასახლებებში, იცხოვრა და იშრომა შეზღუდული უფლებებით, ან სულაც უუფლებოდ, თავისი ძვირფასი სამშობლოდან შორს.

ლორთქიფანიძეთა გვარი ძველია და წარჩინებული. იმერეთის სამეფოს ისტორია წარმოდგენილია ამ საგვარეულოდან გამოსული მხედრებისა და სახელმწიფო კაცების გარეშე. როგორც ყოველ ძველ გვარს, მასაც ჰქონია აღზევებისა და დაცემის საუკუნეები და ფეოდალური წოდებების კიბეზე აღმა-დაღმა სიარულის დიდი გამოცდილება.

გრიგოლ ლორთქიფანიძეც 1881 წელს იმერეთში დაიბადა, იმდროინდელი რუსული დაყოფით - ქუთაისის გუბერნიაში, სოფელ ისრითში, აზნაურ სპირიდონ ლორთქიფანიძისა და მართა პაპავას ოჯახში. ოჯახი ვანელი ლორთქიფანიძეების დიდი სანათესაოდან იყო და ტრადიციულადაც - მრავალრიცხოვანი.

იმხანად, იმპერიის წოდებრივი სისტემით, აზნაური ისეთი პრივილეგირებული არ იყო, როგორც თავადი, მაგრამ თავისი წილი ხელგახსნილობა ჰქონდა და ამ ხელგახსნილობაში სწავლა-განათლების მიღების საშუალებაც იგულისხმებოდა. გრიგოლი სპირიდონის მეექვსე შვილი იყო და, როგორც ჩანს, მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შვილებისთვის განათლების სახსარი ეშოვნათ.

მეურნე-აზნაური უკვე აღარ იყო იშვიათი კაცი იმ დროის ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ისეთი წოდებრივი დრამა დატრიალდა, რომ გალატაკებული, უშემოსავლოდ და შრომის უნარ-ჩვევების გარეშე დარჩენილი, კეთილშობილების ღირსებას გამოდევნებული მცირემინიანი იმერელი აზნაურის სახე სამუდამოდ დარჩა ქართული სალიტერატურო კლასიკის ფურცლებზე, ყოფით იუმორსა და კარიკატურებში.

ამ ადამიანებს „შემოდგომის აზნაურებს“ უწოდებდნენ, რადგან მათი ჭირნახული, აღებისთანავე, შემოდგომაზევე მთავრდებოდა. მცირემინიანი, მცირეშემოსავლიანი კაცი იყო სპირიდონ ლორთქიფანიძეც და არც მისი მოსავალი სწვდებოდა გაზაფხულს, მაგრამ ის არაფრით ჰგავდა უქნარა პერსონაჟებს: არც გლეხურ შრომას თავილობდა, არც მეურნეობის გაძლოლას და არც ქალაქებში ხელფასიან სამუშაოზე დგომას. უკან ოჯახი ედგა და საბოლოოდ ისეთი მეურნეობა კი გამართა, რომ ოჯახიც შეინახა და შვილებსაც ასწავლა.

განათლება და ახალგაზრდა აზნაურიშვილი სრულიად განსაკუთრებული სოციალური შეთანხმებაა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოში. ნასწავლი, ნასტუდენტარი, ლამის სამყარომოვლილი აზნაურობისა და პროვინციელი მღვდლების შვილები განათლებული, მოაზროვნე, პატრიოტი ახალგაზრდების ერთგვარ ერთობას წარმოადგენენ. მათი არსი ინტელექტი, თანამედროვეობა და თავისუფლების სურვილია და იმის მიუხედავად, რევოლუციონერები ხდებიან, მწერლები, მეცნიერები თუ მოხელები, ისინი მომავლის, მეოცე საუკუნის საქართველოს, მთავარ ძალას და გონებას აყალიბებენ. სინამდვილეში, ეს ტრაგიკული ფენაა, რომელსაც ახალი საუკუნე იქამდე გაუგონარ გამოცდებს უმზადებს.

ჯერ კიდევ როდის დაუჩივლია გრიგოლ ორბელიანს, რომელ რედაქციაშიც არ შეხვალ, ეგენი სხედან, რალა უნდა გააწყო კაცმაო. გრიგოლ ლორთქიფანიძეც ამ დიდი ერთობის წევრია.

მისი გზა ისეთია, როგორიც მისი თაობის ბევრი წარმომადგენლისა: ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა – შემდგომში გიმნაზია, მერე უნივერსიტეტი, მერე სტუდენტური მოძრაობა, მერე რევოლუციონერობა, თავის კანონგარეშედ დატოვება, ციხე, თავისუფლება და მერე ყველაფერი თავიდან.



სხედან: გრიგოლ ლორთქიფანიძის მამა სპირიდონ ლორთქიფანიძე, დედა - მართა პაპავა; დგანან: გრიგოლი და მისი და - ნინო ლორთქიფანიძე

Sitting from left to right: Grigol Lortkipanidze's father - Spiridon Lortkipanidze, Grigol's mother - Marta Papava; Standing: Grigol and his sister - Nino Lortkipanidze;

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა და რომელსაც საუკუნის მიწურულიდან განთქმული იოსებ ოცხელი ხელმძღვანელობდა, იყო საუკეთესო ქართული საგანმანათლებლო დაწესებულება მეფის რუსეთის დროებაში. ეს იყო სწორედ გამორჩეულ ქართველთა ნამდვილი სამჭედლო: სამუდამო წრთობა და მომავლის თბილისის უნივერსიტეტის ნამდვილი საფუძველი.

კი, იყო ასეთი გიმნაზიები. აი, ოდესის ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტიც თავის დროზე განთქმული რიშელიეს ლიცეუმის საფუძველზე შეიქმნა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ოცი წლისა აღმოჩნდა ამ ნოვოროსიის უნივერსიტეტში, ახალგაზნაულ ფაკულტეტზე ექიმობას სწავლობდა, მაგრამ არანაკლებ მარქსიზმსაც. მარქსიზმი აკრძალული იყო. ქუთაისში ნამონაფარი ბიჭისთვის, რომელსაც ხელში ერთთავად წიგნი უჭირავს, მაგრამ მხოლოდ წიგნის წია არ არის, სიტყვათშეთანხმება „მესამე დასი“ ბავშვობიდანვე ნაცნობი იქნებოდა. „მესამე დასი“ რუსული სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის, კანონგარეშე სარევოლუციო პარტიის

ქართული წინამორბედი. ამ მოძრობის მესაძირკვლეებსაც კი უსწავლიათ ოდესის უნივერსიტეტში, ვთქვათ, კარლო ჩხეიძეს და საერთოდ ამ ჭრელი, მრავალეროვანი, ხმაურიანი სანავსადგურო ქალაქის უნივერსიტეტი დაუმორჩილებლობის, სტუდენტური ჯანყის ერთ-ერთი ცნობილი კერაა. საიდუმლო კრებები, პროკლამაციები, გაფიცვები, დემონსტრაციები რუსეთს თავისი პირველი რევოლუციისკენ მიაქანებს.

ამასობაში კი გრიგოლ ლორთქიფანიძე უკვე გარიცხულიცაა და დაპატიმრებულიც, ციხეში ნაჯდომიც და გადასახლებულიც. ეს ახალგაზრდა რადიკალის გზაა. თუმცა ერთგვარად უცნაურია, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე იმ დროის ჩვეულებრივ სოციალ-დემოკრატად ჩავთვალოთ. ის მართლაც რადიკალია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა საქმე რუსეთის იმპერიას ეხება, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობას, უთანასწორობას. თვითმპყრობელობა დასამხობია, თავისუფლება მოსაპოვებელი - ამ აზრს ლორთქიფანიძე არასდროს შეარბილებს, მაგრამ ის სრულიადაც არაა რადიკალი ხვალინდელი ქვეყნის მშენებლობის საქმეში. პირიქით, დაფიქრებული, ზომიერი მოაზროვნეა.



გრ. ლორთქიფანიძე (მარჯვნიდან პირველი) სტუდენტობის პერიოდში უცნობ პიროვნებებთან ერთად. ქ. ნოვოროსია (ახლანდ. ოდესა)

Gr. Lortkipanidze (first from the right) during his student years with the unknown persons. Novorossiyya (nowadays, Odessa).

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts

როგორც ქართველ სოციალ-დემოკრატთა სრული უმრავლესობა, პარტიის „მენშევიკურ“ მხარეს იჭერს და არა „ბოლშევიკურს“. ამ ლენინური „განყოფილების“ წყალობით საქართველოში ისეც კი ხდება, რომ ძმები და მეგობრები სხვადასხვა მარქსისტულ ბანაკში ხვდებიან, მაგრამ ურთიერთობას

სულაც არ წყვეტენ. უკვე ნაციხარი გრიგოლ ლორთქიფანიძე, სრულიად ახლაგაზრდაც კი, ცნობილი ადამიანია რევოლუციონერთა წრეებში.

სანამ ის ტუსადია, რუსეთი ბობოქრობს, ოდესა იქცევა, იქეთ ჯავშნოსანი პოტიომკინი ჯანყდება, აქეთ პოგრომები იწყება. მერე 17 ოქტომბრის მანიფესტია, ოღონდ ის გრიგოლს არ ეხება. რომ ათავისუფლებენ, ქუთაისში ჩანს, რადიკალურ გაზეთებს რედაქტორობს. რევოლუცია მინავლული და დამარცხებულია, საქართველო უკვე გადაბუგული უამრავი უბედურებით, მკვლელობითა და სამარცხვინო ისტორიით შეძრწუნებული, გაძარცვული.

დამარცხებულია გურიის მხვინელ-მთესველთა რესპუბლიკა, რომელსაც ლორთქიფანიძის თანაპარტიელნი ხელმძღვანელობენ. ეს დიდი ისტორიაა. ქუთაისის გუბერნია უკვე გადაუხნავს გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ლაშქრობას.

ტუსადობისას ლორთქიფანიძემ უკვე იცის, რომ ექიმობას აღარასდროს დაუბრუნდება, მისი ვნება ისტორია და პოლიტიკაა. ის არ არის მხოლოდ რევოლუციონერი, არც ისეთი რევოლუციონერი, მხოლოდ პოლიტიკით რომ გავა ფონს. გათავისუფლებული ის ოდესის უნივერსიტეტში ბრუნდება და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შედის.

რევოლუციის მარცხის, ამდენი სისხლის შემდეგ, ქვეყანა პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის მარწუხში ექცევა. გრიგოლ ლორთქიფანიძე მეტეხის ციხეშია და ვინ არ მჯდარა მეტეხში იმ წლებში? აკაკი წერეთელსაც კი მოუხდა ერთი ღამით იქ ყოფნა.

საბოლოოდ, გრიგოლს ვორონეჟის გუბერნიაში ცხოვრების უფლებას აძლევენ და იქ მიდის მასწავლებლად.

სინამდვილეში, ეს სიცოცხლის ათი წელიწადია. თანაც, ახალგაზრდული – ოციდან ოცდაათ წლამდე. მშრალად თუ მსუყედ მოთხრობის მიუხედავად, ესაა ორი ციხე, ორი გადასახლება, ორჯერ სტუდენტობა და პროფესია კი – რევოლუციონერი. იმ წლებში, საქართველოს ამგვარი მონაცემების საკმაოდ ბევრი ადამიანი ჰყავდა და მათ ისტორია სულ ნაირგვარი ეპითეტებით ამკობს. საუკეთესო სიტყვა კი, რომელიც გრიგოლ ლორთქიფანიძეს ახალგაზრდობიდანვე მიესადაგება, არის „მოაზროვნე“. მთელს ამ ამბებში მან მოახერხა და დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი.

ისტორია, პოლიტიკა, თითქმის ყოველთვის უკომფორტოდ ცხოვრება, სრულიადაც არ აქცევს მას ერთ გაღიზიანებულ, გაავებულ, ინტრიგების მხლართველ იატაკქვეშელად. არც ექსპროპრიატორთა მეთაურად, არც რალაც დაპირისპირებათა, კინკლაობათა თუ დაუნდობელ საქმეთა ნაწილად. ასე ალბათ იმიტომაც, რომ ლორთქიფანიძეს არც ხასიათი აქვს საამისო და არც რამეში სჭირდება მსგავსი უნარები, რადგან ყოველთვის აქვს „აზრი“, ამ აზრის განსამტკიცებლად კი იმდენი საბუთი შობილა მის ფიქრში, რომ ასეთ კაცთან კამათს, უბრალოდ, აზრი არა აქვს. არც მას სჭირდება კამათი, ყვირილი და განხეთქილება.

ვინც ახალგაზრდა ლორთქიფანიძეს იცნობს, ყველამ იცის, მისგან იმის გაგება შეუძლებელია, რაც ბევრმა არავინ იცის. მისგან ისეთი დასკვნის მიღება შეუძლებელია, რომ წყალი არ გაუვა. მისგან ისეთ აზრს მოისმენ, რომ დიდი და ღრმა ფიქრის საღერღელს აგიშლის.

ეს იშვიათი კაცია.

ისტორიის შესწავლის სურვილიც ესაა. სწორედ ისტორიული სურათითაა განმტკიცებული წერილი, რომელსაც მრავალი წლის შემდეგ ის სტალინს მისწერს: „თქვენ დღეს ტრიუმფატორი ხართ...“, რასაც რომაული სატრიუმფო მსვლელობის წესის ახსნა მოსდევს.

ისტორია მისი იარაღია, ოღონდ არა ერთადერთი. ლორთქიფანიძეს ბევრი ხელსაწყო აქვს და იმ იშვიათ ნათელ გონებათა რიგშია, რომელთაც არა მხოლოდ მთელი სურათის დანახვა, არამედ სადა და ჭანსალი ლოგიკის გამოყენება ძალუძთ. წერს უბრალოდ, ღრმად, გასაგებად, არის საუცხოო მთხრობელი და ისეთი საჭარო ლექტორი, გონებას რომ უხსნის მსმენელს.

ამას ისიც ემატება, რომ, თუმცა ახალგაზრდობაში არასდროს უმუშავია რაგინდარა სამსახურში და მისი მუშაობა რევოლუციონერობა იყო, გრიგოლ ლორთქიფანიძე გამორჩეული შრომისუნარიანობის, დაუზარელი ადამიანია. მეორე მხრივ, მისი სამუშაო ფიქრია. წერა, კითხვა და ფიქრი და არის კიდევ ერთი თვისება:

თითქოს ლორთქიფანიძემ „საპატიო მიზეზით“ გააცდინა რუსეთის პირველი რევოლუცია, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის საუცხოო ორგანიზატორია. ტერაქტების და ექსპროპრიაციების კი არა, ნებისმიერი ინტელექტუალური საქმის.

ამასთან ერთად, ის თავმდაბალი კაცია, არც რაღაც გავლენებზე ნადირობს იმ თავის რევოლუციურ მოძრაობაში და არც გამორჩენას ეძებს, არც შემოსავლების მადევარია, მაგრამ უმისოდ საქმე თითქოს თვლემს.

ფიქრიანი, მკვეთრი გამოხედვა, პრინციპები, პიროვნული პატიოსნება და ინტელექტი.

ლორთქიფანიძე ვორონეჟის გუბერნიის ერთ-ერთ დაბაში მასწავლებლობს და სოციალისტობს. ბევრს კითხულობს, წერს და იკვლევს სამყაროს. იქვე დაოჯახდება, ახალგაზრდა მასწავლებელ ლიუბოვ ავრამენკოზე იქორწინებს. იმ დროებაში ქალი-მასწავლებელი ცხადად თანამედროვე ადამიანი იყო, როგორც წესი, თავისუფლების იდეებითაც მოხიბლული. ლიუბას საერთოდაც მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული.

მიჯნურის მამა იქაური მეწარმეა და ვის უნდა გადმოსახლებული, სოციალისტი სიძე, რომელიც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშაა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს კვანძი ზეცაში შეიკრა. საუცხოო წყვილი იყო, ტანჯვაში კიდევ უფრო განმტკიცებული და უტეხი, ერთსული და ერთხორცი. ახალგაზრდა ოჯახის პირველი წლები მსოფლიო ომის დროა. ლორთქიფანიძე მეოჯახე კაცია, უკვე პირველი შვილიც ჰყავს – დარეჯანი და თითქოს წინა ხაზზე აღარც გამოჩნდება. ეს ხომ შინაურული სითბოს, სიყვარულისა და ზრუნვის პირველი წლებია. ამ დროს კი სამყარო შეშლილი და არეულია: დიდი ომის მიწურულს საბოლოოდ გადაყირავდება რუსთ ხელმწიფის მოტორტმანე ტახტი, თებერვლის რევოლუციას მოჰყვება მძიმე ზაფხული და ოქტომბრის გადატრიალება, ბოლშევიკები.

არის ერთგვარი ირონია იმაში, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძემ ეს რევოლუციებიც „გააცდინა“. მისი ძველი თანამებრძოლები მხოლოდ თბილისსა და ბაქოში კი არა და, პეტროგრადსა და მოსკოვშიც წარმართავდნენ ამბებს. ის კი, მას შემდეგ, რაც თებერვლის რევოლუციამ გადასახლებულებს და ტუსად რევოლუციონერებს თავისუფლება აჩუქა, დედაქალაქებს არ მიტანებია. თითქოსდა პროვინციულ რევოლუციონერად დარჩა, ბელგოროდის ოლქში მასწავლებლობდა და პუბლიცისტობდა.

ოქტომბრის გადატრიალება არ მიიღო, მაგრამ, ამასთანავე, არ უნახავს კავკასიის უკიდურესად ბობოქარი წელიწადი, რომელიც წინ უსწრებდა სამი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ცხადია, რომ მან ყველაფერი იცოდა. ალბათ ძალიან წვრილადაც.

ჰო, თითქოს. ყველაფერი გააცდინა, თითქოს დამშვიდებულ მოჯანყე პროვინციულ ინტელიგენტად იქცა, მაგრამ ისტორიის ჩარხი სხვანაირად დატრიალდა. სანამ პეტროგრადში ბოლშევიკებმა იმარჯვეს და დიდი სამოქალაქო ომი ღვივდებოდა, ოსმალეთის ფრონტით განამებულ

საქართველოში პირველობა მენშევიკებმა იგდეს ხელთ: ნოე ჟორდანიამ, ნოე რამიშვილმა, ბენია ჩხიკვიშვილმა, ევგენი გეგეჭკორმა, აკაკი ჩხენკელმა, სხვებმაც. დაზუსტებით ვერ იტყვი, რომელმა ამათგანმა გაიხსენა პირველმა გრიგოლ ლორთქიფანიძე. ალბათ არც დავინწყნიათ ჩრდილოეთში გადასახლებული თანამებრძოლი, ალბათ მიმონწერაც არ შეუწყვეტიათ და მათთვის ცხადი იყო, რომ ახალი საქართველოს სახელმწიფო დერეფნებში ფუსფუსი გრიგოლის გარეშე არ გამოვიდოდა.

ისიც დაბრუნდა, ოჯახით. მგონი, ოლღას ქუჩაზე გამოუძებნეს ბინა. იქიდან მეფისნაცვლის სასახლემდე ფეხით დადიოდა. იქ იყო დამფუძნებელი კრებაც, სამინისტროებიც, ყველაფერი. გაზაფხულზე ამიერკავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. გრიგოლ ლორთქიფანიძე თითქოს საპარლამენტო კაცი იმთავითვე იყო და ასეც მოხდა, მაგრამ პარტიულ ამხანაგებს სწორად ეგრძნოთ მისი გასაქანი: კრების უბრალო წევრობას ვინ დააჯერებდა. სამხედრო მინისტრად დანიშნეს, მერე განათლების მინისტრად, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ. მუდმივად რაღაც საბჭოს წევრი და რწმუნებული იყო, ყოველთვის უწყვეტ, უშაბათკვირო სახელმწიფო საქმეში იყო ჩართული.

თუმცა ამის თქმა ბევრს არაფერს ნიშნავს. თითქოს რა არის განსაკუთრებული, ორმოცს მიტანებული პოლიტიკოსი უცებ ხვდება ქვეყნის უმაღლეს მმართველთა შორის. ოღონდ გრიგოლ ლორთქიფანიძე მმართველი არ ყოფილა, ის მსახური იყო.

აქ კი უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მართავდნენ და იმავდროულად ეს იყო უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა: სასაზღვრო გაურკვევლობებით, სამეზობლო ომებით, შიდა, ბოლშევიკური აჯანყებებით, მუდმივი მუქარით ჩრდილოეთიდან, მუდმივი ხიფათით სამხრეთიდან, საბოლოოდ კი წითელი ალყით შემოსალტული, ღარიბი, არეული; რეფორმებით, რომელთა წარმატებას თუ წარუმატებლობას მოსახლეობა დიდად არც აქცევდა ყურადღებას, კარგი წამოწყებებით, დემოკრატიული კანონებით, გაცხადებული ნეიტრალიტეტითა და გადამწყვეტი საერთაშორისო ყურადღების მოპოვების წყურვილით, უამრავი ნაკლითა და მოსაწონით, მაგრამ მაინც არამტკიცე, ჯერაც უსაძირკვლო და საშენებელი სახელმწიფოებრიობით.

ეს ძალიან ძნელი იყო იმ ხალხისთვის, ვინც ახალგაზრდა რესპუბლიკას მართავდა.

ამ სახელმწიფოს საშენებლად და ფეხზე დასადგომად მთელი გულით შრომობდა ბევრი ადამიანი, მაგრამ გამორჩეული, უკანმოუხედავი, მცოდნე ნეტავ მეტი ყოფილიყო. კიდევ უფრო ცოტა იყო ძლიერი სახელმწიფო ინსტინქტის მქონე და პოლიტიკოსი და მოხელე და მთლად რამდენიმე ისეთი, რომელსაც ამ ინსტინქტთან ერთად შრომის უნარი, სხარტი გონება და გადანწყვეტილებების არა მხოლოდ მიღების, არამედ განხორციელების უნარიც გააჩნდა. ასეთი იყო, ვთქვათ, კონსტანტინე კანდელაკი. მოიძებნებოდნენ სხვებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე კაცმა იმ საქართველოს განმტკიცება ვერ მოახერხა და ვერ მოიგო გადამწყვეტი ბრძოლა სახელმწიფოს მშენებლობისა.

სწორედ ამ რამდენიმე კაცს შორის იყო გრიგოლ ლორთქიფანიძეც, რომელმაც სახელმწიფო მოღვაწის დიდი უნარები გამოამჟღავნა. პოლიტიკოსიც კი ისეთი გამოდგა, რომ ოპოზიციური სიმწვავეც არასდროს შეხებია. ყველამ იცოდა, რომ, აი, ეს კაცი საქმეს აკეთებს. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეობა იმას ნიშნავდა, რომ ლორთქიფანიძე ხშირად ენაცვლებოდა ჟორდანიას და ამასთან ერთად, მთელ შავ სამუშაოსაც ასრულებდა. საბუთები, განკარგულებები, უამრავ წვრილმანზე ყურადღების მუდმივი დევნება, განათლების საქმეები, რომელთაც დიდი ხარჯი სჭირდებოდა და, რაც მთავარია, ჯარი, სამხედრო საქმე, კიდევ მეტად ხარჯიანი. წესრიგი, იქ რევოლუციური ურთიერთობების გაქრობა, სახალხო გვარდიის მენშევიკების პარტიული სამხედრო ძალის – რეგულარულ არმიასთან შერწყმა, საერთო წესრიგის დამყარება. ეს უბრალოდ, პირველი ჯერის ამოცანები იყო. გვარდია ვერ გააუქმა, პარტიამ არ დათმო.

ამიტომაც იყო გამორჩეული, პარტიობა აღარც აინტერესებდა, შეხედულებებით უფრო იყო სოციალ-დემოკრატი, ვიდრე პარტიულობით. სახელმწიფო კაცის მაგალითად გამოდგებოდა იმ რთულ ქვეყანაში: სწორ და საჭირო რამეებს ამბობდა და ახორციელებდა.

საბოლოოდ, იმ პირველ რესპუბლიკაში ყოველდღიურად იმდენი პატარა საქმე იყო საკეთებელი, რომ დიდი საქმის წამოწყებას სიხსლი აკლდა. ათასი პატარა საქმიდან კი ერთი დიდი საქმე არ გამოვიდა. ახალგაზრდა სახელმწიფოს რალაცნაირი განწირულობის იერიც დასდევდა, საზღვრებს სინითლე ემატებოდა. ქმედითი დახმარება კი არ იქნებოდა, ერთა ლიგაშიც არ მიგვიღეს. ამას ლორთქიფანიძე ყოველთვის ხედავდა, მერე წერდა კიდევ, ჩვენ უნდა ვიყოთ ევროპელები კულტურულად, მაგრამ პოლიტიკურად ევროპის იმედზე ვერ ვიქნებითო.

საერთოდ, ძალიან შორს ხედავდა წარსულსაც და მომავალსაც, მაგრამ იმ წლებში, მისი სახელმწიფო კაცობის დროებაში, ლორთქიფანიძის სტრატეგიულ ფიქრებში გარკვევის დრო და დიდი ინტერესი არავის ჰქონია.

მერე იყო ის უბედური ომი, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდამ ქართველ მშრომელთა აჯანყება დაარქვა, მოვლენას კი გასაბჭოება უწოდა.

სულისშემძვრელი ბრძოლები, უკანდახევა და თბილისის დატოვება. ამ ომის შედეგი ცნობილია: საქართველო წითელმა რუსეთმა დაიპყრო, მთავრობის, პოლიტიკოსების, სამხედროების უმეტესობა ბათუმში გემებზე ავიდა და ემიგრაციაში გაცურა. გრიგოლ ლორთქიფანიძე არც თბილისიდან წასულა რუსების შემოსვლის წინაღმეს და მერე არც საქართველოდან. ომის დამთავრების ქალაქს მან მოაწერა ხელი ქუთაისში, ბოლშევიკების მხრიდან კი, მამია ორახელაშვილმა, ძველმა კარგმა ნაცნობმა. ამ საბუთით საქართველოს მთავრობას არც კაპიტულაცია გამოუცხადებია, არც ხელისუფლება გადაუბარებია და არც ბოლშევიკები უღიარებია. მოლაპარაკებების ერთ-ერთი ნამდვილი არსი ბათუმის გადარჩენაც იყო. ვინც დარჩა, საქმეს ბოლომდე აკეთებდა საქართველოსთვის, იქით გენერალი მაზნიაშვილი, აქეთ ლორთქიფანიძე.

ჩახან ემიგრაცია არ ისურვა, გრიგოლი ისრითი დაბრუნდა ოჯახთან ერთად და სოფლურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. უკვე ვაჟიც ჰყავდა, თეიმურაზი. ის სამი წელიწადი თითქოს ერთი დღე იყო.

ყველა არ წასულა. ვინც დარჩა, ყველა თავისებურად იბრძოდა. არ ვიცით, რას ფიქრობდა მაშინ გრიგოლი, ვინ აკითხავდა სოფელში, რაზე მუშაობდა. დიდმა კაცმა მარცხის განცდა ალბათ სწორედ მშობლიურ სახლსა და კარ-მიდამოში უნდა დაიამოს. ვითომ არც ყოფილა ეს სახელმწიფო ცხოვრება, მოლაპარაკებები, დეპეშები, კანონები, მთელ საქართველოში სირბილი, სკოლის გაკვეთილებსა და სამხედრო წვრთნებზე დგომა, შენიშვნებით სავსე ფურცლები და საზეიმო მიღებები. ტკივილი სხვაგან იყო, არა მარცხში, არა. ქვეყნის დაკარგვაში.

ჩანს, გრიგოლ ლორთქიფანიძე მართლაც ღრმად მეოჯახე კაცი იყო და ცხოვრების ბობოქარი და მოუცლელი წლების შუაგულში ყოველთვის შინაურულ, პატრიარქალურ სიმშვიდეს ელოდა. თანაც, ბოლშევიკების სადამსჯელო გაქანების მასშტაბი მაინც ვერ წარმოიდგინა. მათი ყველაფერი იცოდა, მაგრამ ეგებ სოფლად ყოფნას ძველ გადასახლებებს ამსგავსებდა.

დიდხანს არ გაუჩერებიათ. მაშინ ისეთი დრო იყო, საქართველოში დარჩენილი მესამე რიგის სოციალ-დემოკრატების გადაბირებას ცდილობდნენ, გაბუთებში აწერიდნენ, კარგი მთავრობა მოვიდა და ვტოვებ პარტიასო; ან ნოე, ჩამოდი, ჩაერთე ახალი ცხოვრების ფერხულშიო და ასეთებს. გრიგოლს ვერ დააწერიდნენ, ალბათ ეგეც იცოდნენ. გზა კი ნაცნობი იყო – მეტეხი, ჩეკა, ახალგაზრდა ბერია, ეპიფანე კვანტალიანი, ვილაც გაუგებარი წარმოშობის მათრახიანი გამომძიებლები. მეტეხში მოკვდა ბოლო სამხედრო მინისტრი, პარმენ ჭიჭინაძე, არაფრით გადაიყვანეს საავადმყოფოში.

სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალვის ნება დართეს. მერე გადაიფიქრეს, პარმენის დაკრძალვა პირველი დიდი ანტიბოლშევიკური მიტინგი იყო თბილისში.



**გრიგოლ ლორთქიფანიძის ოჯახი:
ლიუბა ავრამენკო, დარეჯან,
ნოდარ, გრიგოლ და თეიმურაზ
ლორთქიფანიძეები**

**Grigol Lortkipanidze's family: Lyuba
Avramenko, Darejan, Nodar, Grigol
and Teimuraz Lortkipanidze**

დაცულია საქართველოს
ეროვნულ არქივში
Preserved at the National
Archives of Georgia

მაშინ მეტეხში არსებობდა დამოუკიდებელი საქართველო. გრიგოლ ლორთქიფანიძე მაინც ყველაზე მნიშვნელოვან და საფრთხილო კაცად მიაჩნდათ. საშიშად რა, იცოდნენ, რომ ბომბს არავის დაუდებდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რა გონებისა და გაქანების კაცი იყო და მის ნათელ შუბლს უკან რა საგანძური ინახებოდა. ხვრეტები ერთი ხნის შემდეგ ატყდა, მაშინ შემორიგებასა და დატუსაღებას შუა ტრიალებდა ყველაფერი.

სწორედ ის დრო იყო, როცა ძველ რუსულ მონასტრებს ციხეებად აკეთებდნენ. რუსეთში ადრეც ჰყავდათ სამონასტრო პატიმრები, ბოლშევიკებმა კი საქმე გააფართოვეს. ასე მოხვდა გრიგოლი ძველ ქალაქ სუბდალში. თითქოს ახალგაზრდობა ბრუნდებოდა, ისევ ისეთი ვაგონი, ისევ ეტაპი, ისევ ციხე. ნაწერის ბოლოს ხშირად უთითებს: სუბდალი, მონასტრის ციხე, საკანი 74.

დიდი ხნით, თითქმის სამუდამოდ, მოწყდა ოჯახს. ამერიიდან, საქართველოში ყოფნა სანატრელი გაუხდებოდა, მაგრამ საოცრება ის იყო, რომ იმ სუბდალში გამოკეტილი საქართველოში იყო. მადლობა განგებას, საკანში წერა შეიძლებოდა და ნავიანევი საბჭოთა გაზეთების შემოდიოდა.

იქ დაწერა თავისი საუკეთესო ნაშრომი, ფიქრები საქართველოზე, პოლიტიკურ-ისტორიულ-ეკონომიური ესე თუ ტრაქტატი, წიგნი თუ გულისთქმა, ან ხედვა, როგორც დღეს იტყოდნენ. იმდენის მომცველი ნაწერი იყო, ისეთი, რომ მისი საუკეთესო ადგილები სკოლაშიც კი უნდა ისწავლებოდა. იცოდა, რომ ეს მისი მრავალწლოვანი ნაფიქრის, ნასწავლისა და გამოცდილების ნაზავი იყო: ნაწერი სახელმწიფო და იმავდროულად სრულიად თავისუფალი კაცისა, რომელიც ციხეში ჰყავთ გამოკეტილი.

ექვირფასებოდა ეს ნაწერი. მალავდა, მიწაშიც დაუფლავს. მოახერხა და შინ გამოგზავნა. დიდხანს ინახავდნენ და მერე წაიკითხეს. თითქოს მას ელოდნენ. ძალიან დიდხანს აღარც კი იცოდნენ, სად იყო და როგორ. მანამდე საოცარ წერილებს იწერებოდა, ანდერძიც კი, თხოვნები, თუ ამ რუსეთში

დავლიე სული, არ ჩამოხვიდეთო, თბილი, მაგრამ ძლიერი კაცის დაწერილია. მისი ტუსალობისას კიდევ ერთი მოვლენა მოხდა საქართველოში, 1924 წლის აჯანყება - დამარცხებული, სისხლში ჩახშობილი, მძაფრი, ტრაგიკული სურათებით დაუვინყარი.

1925 წელს გამოუშვეს იმ სუბდალის ციხიდან. გამოუშვეს რა, ორი მისხალით მეტი ჰაერის ჩასუნთქვის უფლება მიეცა. საქართველოში ვინ გამოუშვებდა და კურსკში დაიწყო მასწავლებლობა.

წერდა ქართულად საქართველოსას და რუსულად კი - საბჭოთა კავშირისას და ბოლშევიკებისას. როგორც პედაგოგს, აზრები ჰქონდა საბჭოთა განათლების შესახებ, ფიქრის კაცი იყო, რა გააჩერებდა. ეგებ ეს უფლებებაცარილი კაცი ახირებულ, კირკიტა ვინმედაც ჩაეთვალათ, მაგრამ ასე არ იყო. ნები დამთავრებულიყო და ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ფართო შარაზე შემდგარ საბჭოთა კავშირს ამ დიდ წამოწყებათა წარმოჩენა სჭირდებოდა. ტელევიზორი და ინტერნეტი არ არსებობდა, იყო აგიტპროპი, კინო და მწერლობა. ინდუსტრიალიზაციის წლებში დიდ რამედ ითვლებოდა დიად მშენებლობებზე მწერლების მივლინება და მათგან სადიდებელი წიგნაკების მოთხოვნა.

მერე და მერე მეტ და მეტ განთქმულ მწერალს ხვევდნენ ამაში. ვინ მოსთვლის, რაც სიმართლისთვის მებრძოლმა მაქსიმ გორკიმ იმ წლებში ტყუილები წერა. ჰოდა, თავისი წილი ინდუსტრიალიზაცია საქართველოსაც ჰქონდა, იქ ზაპესი გახსნილიყო, აქ - ისა, იქ - ესა და თბილისელმა მმართველმა ბოლშევიკებმა იფიქრეს, ვის შეუძლია ღრმად, ყოვლისმომცველად და ჭკვიანურად აღწეროს ჩვენი წარმატებები, ვინ არის ისეთი პატიოსანი კაცი, რომლის შესახებაც ვერ იტყვიან, რომ გაიყიდა, მოიქრთამა ან შეშინდაო და ალბათ გაახსენდათ. უფრო კი, არც დავინწყებიათ.

სრულიად მოულოდნელად, საქართველოს ცეკას მდივნებმა მიხა კახიანმა და ლევან ლოლობერიძემ საკითხი შეათანხმეს და გრიგოლ ლორთქიფანიძე სამშობლოში ჩამოიყვანეს: ახლა გაჩვენებთ, რამდენი რამე გავაკეთეთ ამ შვიდ წელიწადში და მოდი, დაწერე ეს ყველაფერი, დარწმუნებულნი ვართ, რომ ძალიან მოგეწონება შენისთანა ბრძენ კაცს და აღიარებ, რომ ჩვენი მთავრობა მართლაც მრავლისმოქმედიო. სანაცვლოდ გვინდა, რომ იპროფესორო ჩვენს უნივერსიტეტშიო.

სწორედ ის წელიწადი იყო, უნივერსიტეტს რომ ინსტიტუტებად შლიდნენ. უმაგისოდაც, წაგებული თამაში იყო. აქეთ ოჯახი, ამდენი წვალეა და განცდები და იქით სულ უბრალო რამ: კარგი თქვი, უბრალოდ, კარგი თქვი და ყველაფერს გავაკეთებთ შენი უკეთ ყოფნისთვისო. თანაც, რამხელა ამბავი იყო ემიგრაციაში გასავრცელებლად, გრიგოლ ლორთქიფანიძეც კი „საბჭოთა რელსებზე დადგაო.“ მოატარეს ყველაფერი და დაუნუნა წითელი საქართველო. აუხსნა, არაფერი გამოვაო.

დააბრუნეს. ასეთი კაცი იყო. დარჩა ისევ შორს, ყველას და ყველასგან მონატრებული.

მაინც არ იშლიდა, მიაჩნდა, რომ რაც სათქმელი ჰქონდა, უნდა ეთქვა. აუცილებელი სათქმელი. სტალინს წერილი მისწერა დაბადების ორმოცდაათი წლის თავზე. ვითომდა მისალოცი, მძაფრი, თუმცა სრულიად არაბრაზიანი კრიტიკით სავსე, მშვენიერ სტილში დაწერილი. უფლებებს ითხოვდა საქართველოსთვის, ამიერკავკასიისთვის, აკი ინტერნაციონალისტი ხარო? რუსეთის დანამატად აქცევ კავკასიასო? ასე გამოუვიდა.

დაიჭირეს. ექვს თვეს იჯდა. მერე, ალბათ, ამ კურსკში კარგადააო და მისთვის ნაცნობ ვორონეჟში გადმონიეს. იქაც იყვნენ გადმოსახლებული ქართველები, ძველი მენშევიკები. იმ დროიდან კი წესად აიღო სახელმწიფო პროექტების გარჩევა და სხვადასხვა კომისარიატსა და პარტიულ უწყებას სწერდა. დიდი პროფესიონალის შედგენილ მოცულობით შენიშვნებს აგზავნიდა.

ერთხელ, ისეთი გახარებული იყო, შინ იწერებოდა, კი შავ დღეში ვყავარ, მაგრამ ჩემი აზრი

გაითვალისწინესო. ბოლოს სტალინური კონსტიტუციის პროექტს მიადგა და უშველებელი, შესწორებებით გაჯერებული წერილი გაუგზავნა მოლოტოვს, თვითონ სტალინს და რადეკს. ორ მეგობარსაც მოაწერინა ხელი: გეშლებათ ეროვნულ საკითხშიო. სხვა საკითხებშიც გეშლებათ, მაგრამ მათზე, რომც მოვიწერო, ყურს არ ათხოვებთ და ეგებ ამას მაინც დაუფიქრდეთო.

სინამდვილეში ბევრად ღრმა, იმის მსპობი წერილები იყო, რაზეც ბოლშევიზმი იდგა. უბრალოდ, საქმიანი შენიშვნების იერით წერდა.

კიდევ უფრო ცუდი დრო ახლოვდებოდა და უბრალო გადასახლებას ვინღა აკმარებდა. გრიგოლ ლორთქიფანიძის წარსულის ადამიანებს მაშინდელი შინსახკომის სათითხნ დიდ შეთქმულებით საქმეებში ოქროს ფასი ედოთ.

თუმცა მანამდე, ალბათ ამ კონსტიტუციის ამბავი თუ იყო და გაუშვეს კემეროვოს ოლქში, გორნაია შორიას მკაცრ მიდამოში, სადაც უკვე ბანაკების ქვეყანა იყო, ახლა კი, გულაგის მუზეუმებია. რკინიგზას აშენებინებდნენ.

მაგრამ მოახლოვდა დიდი წმენდის დრო. ახალახალი საქმეების საჭიროება მწვავედ იდგა, დიდი სასამართლო პროცესები საქართველოს ცეკას პირველ მდივანს, ბერიასაც სჭირდებოდა და რას აღარ შვრებოდნენ იმ წელიწადს. ნოე ჟორდანიას შვილის და დედის საფლავები მოთხარეს, კლასობრივი ბრძოლა მწვავედებოდა, ქართული ემიგრაციისგან დივერსიებს ველოდებოთო.

სწორედ ამ მონახაზის ნაწილი თუ უნდა გამხდარიყო გრიგოლ ლორთქიფანიძე და ისევ ვაგონი, კიდევ ერთი ეტაპი და საიდუმლოდ ჩამოიყვანეს თბილისში. თითქოს ბახჩო ქობულოვს მოეხსენებინა ბერიასთვის, საფრანგეთიდან ცნობა მაქვს, ჟორდანიას უთქვამს, გრიგოლ ლორთქიფანიძეზე სანდო ძალა საქართველოში არ მეგულებაო.

ცნობა რად უნდოდა, ისეც მოიფიქრებდნენ მის გახვევას მოგონილ ჯაშუშობაში. ხომ არასდროს ავინწყდებოდათ. ანდა, რომც ეთქვა ნოე ჟორდანიას და აგენტებს შეეცყოთ, რა საიდუმლო ეგ იყო? ისედაც ყველამ იცოდა, რომ დიას, სანდოც იყო და ვაჟკაციც.

თავის დაბადების დღეს ქობულოვის კაბინეტში დაასრულა სიცოცხლე, ორმოცდათექვსმეტი წლისამ. დაკითხვისას გარდაიცვალაო, ამხ. ბერიაც იქ იყოო – ეს მათი „მშვიდობიანი“ ვერსიაა. გული თუ გაუსკდაო. ან შემოაკვდათ, ან უბრალოდ, საიდუმლოდ დახვრიტეს ტროიკის გარეშე და არც რამე შეატყობინეს ოჯახს. თვრამეტი წლის თავზე, ერთად მოიტანეს გარდაცვალების ცნობაცა და რეაბილიტაციის ქაღალდიც. ან რა ჰქონდა სარეაბილიტაციო იმთგან, ვისი რეაბილიტაციაც შეუძლებელია.

კაცი იყო - იშვიათი, ღირსებით სავსე, სწორი და ძლიერი ფიქრებით საქართველოზე. სწორედ ასეთების საფლავებია ხოლმე საძებარი.



გრიგოლ ლორთქიფანიძე

Grigol Lortkipanidze

AKA MORCHILADZE

GRIGOL LORTKIPANIDZE

Grigol Lortkipanidze - in simple language “Menshevik”, who, as it would be said about the people of his lifestyle and nature “sacrificed himself for this country,” is among the undeniably outstanding and less mentioned heroes in the gallery of the tragic figures of Georgia of the previous centuries.

An amazing man with a fascinating life and even more captivating character: diligent, unbreakable, educated, conscientious, smart politician. His state activity lasted for just two years and eight months in the turbid and unique times of the Democratic Republic of Georgia. Further, he spent most of his life in katorgas, prisons and exile in Tsarist and Soviet Russia. Hence, Grigol had lived far from his homeland, toiled with limited or even no rights at all.

The Lortkipanidzes is an old and noble family. The history of the Kingdom of Imereti is inconceivable without the horsemen and statesmen, who came from this family. Similarly to every ancient family, this one had also gone through the centuries of rises and falls, accumulating a long experience of walking the stairs of feudal ranks up and down.

In 1881 Grigol Lortkipanidze was also born in Imereti, according to Russian division of that time, in the Kutaisi Governorate, the village of Isriti, in the family of Aznauri Spiridon Lortkipanidze and Marta Papava. The family originally came from the huge Vani kinship and was numerous - per tradition.

At that time, according to the rank system of the empire, Aznauri was not as privileged as Tavadi, but had its advantages that meant access to education. Grigol was Spiridon’s sixth child and it seems that the parents were doing their best to provide resources for the children’s education.

The farmer Aznauri was no longer a rare person in the Kutaisi Governorate of that time, where - after the abolition of serfdom - in an unfolded class drama the face of the Imeretian Aznauri lacking the land, impoverished, deprived of income and labor skills, pursuing the dignity of the nobility - forever remained on the pages of the Georgian classic literature, in a form of existential humor and caricatures.

These people were called “Autumn Aznauris” because their harvest exhausted in autumn, as soon as it was gathered. Also Spiridon Lortkipanidze owned not much land, had low-income, and his harvest did not reach the spring either, but he had nothing in common with the idler characters: he neither shunned peasant work and leading a farm, nor the paid job in the cities. Behind him stood the family and eventually, he took on farming via which he supported the family and gave education to the children.

Education and young Aznaurishvili (Aznauri’s child) is a completely special social understanding in the last quarter of the 19th century Georgia. The children of Aznauris and the provincial priests, who were learned, were former students and had almost gone around the world, represented an unity of sorts composed by the educated, thinker, and patriot youth. Their essence is intellect, modernity and the desire for freedom, and regardless of whether they become revolutionaries, writers, scientists or officials, they form the main force and mind of the future, the 20th century Georgia. In point of fact, it is the tragic class that the new century is preparing for the unprecedented trials.

Grigol Orbeliani has been complaining long time ago that no matter which editorial office you entered, they were sitting, and what should a man do. Grigol Lortkipanidze is also a member of this great unity.

His path is similar to that of many representatives of his generation: Kutaisi Noble School-afterwards gymnasium, then university, students’ movement, revolutionary activities, outlawry, prison, freedom, and finally the whole issue all over again.

The Kutaisi Noble School, founded by the Society for the Spreading of Literacy among Georgians and led by the famous Ioseb Otskheli from the turn of the century, was an outstanding Georgian educational institution during the Tsarist Russia. It was the real forge of distinguished Georgians: everlasting tempering and the true foundation of the future Tbilisi University.

For sure, such gymnasiums existed. Namely, the Imperial Novorossiysk University of Odessa was also founded on the basis of the famous Richelieu Lyceum.

Twenty years old Grigol Lortkipanidze was admitted to the University of Novorossiysk, studying medicine at the newly opened faculty, but by no less degree Marxism too. Marxism was then forbidden. For a boy studying in Kutaisi, holding a book in his hand all the time, even though not solely a bookworm, the words “Mesame Dasi” (Third Group) should be familiar from childhood. “Mesame Dasi” represents the Georgian forerunner of the Russian Social-Democratic Labour Movement, the outlaw Revolutionary Party. Even the founders of this movement studied at the University of Odessa, including Karlo Chkheidze, and in general, this colorful, multinational, noisy port city university was one of the famous homes of disobedience, student protests. Secret meetings, proclamations, strikes, demonstrations led Russia to its first revolution.

In the meantime, Grigol Lortkipanidze is already excluded and arrested as well, imprisoned and exiled. This is the path of a young radical. Though, it is strange to consider Grigol Lortkipanidze as an ordinary Social-Democrat of that time. No doubt, he is a radical, but only when it comes to the Russian Empire, its political and social structure, its inequality. Autocracy should be overthrown, freedom – achieved. Lortkipanidze had never softened this opinion, but he was not a radical at all in building the future of the country. On the contrary, he was a thoughtful, moderate thinker.

Likewise the overwhelming majority of the Georgian Social-Democrats, he upheld “Menshevik” side of the party, not the “Bolshevik”. Thanks to this Leninist “division,” it even happened so in Georgia that the brothers and the friends were in different Marxist camps, but did not stop the relationship. Grigol Lortkipanidze, already a former prisoner, even very young, is a famous person in the circles of revolutionaries.

While Grigol is a prisoner, Russia is storming, Odessa is ravaging, the Battleship Potemkin is uprising, and pogroms are starting. Then there is the October 17 manifesto, but it does not refer to Grigol. After his release from the prison, he appears in Kutaisi, serving as an editor for the radical newspapers. The revolution is over and defeated. Georgia, already ruined with countless misfortune, murders and shameful history, is troubled and looted.

The Gurian Republic, led by Lortkipanidze’s party members, has been defeated. This is a long story. Kutaisi Governorate has already been ploughed by the punitive march of General Alikhanov-Avasky.

While being imprisoned, Lortkipanidze already knows that he will never return to practicing medicine, his passion is history and politics. He is not just a revolutionary, nor a revolutionary who will only overcome an obstacle through politics. Released from jail, he returned to the University of Odessa and entered the Faculty of History and Philology.

After the failure of the revolution and so much bloodshed, the country gets into the trap of the Prime Minister Stolypin. Grigol Lortkipanidze is in Metekhi jail. Who was not sitting there in those years? Even Akaki Tsereteli had to stay there for one night.

Eventually, Grigol is allowed to live in the Voronezh Governorate and goes there as a teacher.

Actually, it is ten years of life, the years of youth - from twenty to thirty. Regardless of the dry or rich narrate, it includes two prisons, two exiles, twice being a student and a profession of revolutionary. In those years, Georgia had a lot of people with similar data as Lortkipanidze. And the history decorates them with the various epithets. The best word, relevant for Grigol Lortkipanidze since his youth, is a "thinker". Regardless of all this mess he managed to graduate from the University of Odessa.

History, politics, living uncomfortably nearly his entire life, do not transform him into irritated, vicious, intriguer underground worker; neither the leader of the expropriators, nor the part of any controversy, squabble or ruthless affairs. This is probably because Lortkipanidze does not have such character and does not need such skills, because he always has his own "opinion" and for strengthening it so many arguments have been born in his mind that it makes no sense to argue with him. Nor does he need to argue, shout, and split.

Everyone, who knows young Lortkipanidze, also knows that one can find out from him, what many people do not know. His conclusions are trustworthy. His opinions sink people in heavy and deep thoughts.

This is a rare man.

Precisely, this is the desire behind studying history. Historical picture truly reinforced the letter he wrote to Stalin many years later: "You are a triumphant today ...". In the letter, this part which is followed by an explanation of the Roman triumphal procession.

History is his weapon, but not the only one. Lortkipanidze has many tools and is among those rare bright minds who can see not only the whole picture, but also use plain and sound logic. He writes simply, deeply, understandably, is an exceptional narrator and such a public lecturer, who opens the mind of the listener.

Furthermore, although he had never worked in whatever services in his youth and his work was about being a revolutionary, Grigol Lortkipanidze was a diligent and complaisant person. On the other hand, his job is thinking; writing, reading and thinking, and there is one more feature.

Allegedly, Lortkipanidze missed the first Russian Revolution for a "valid excuse", but everyone knows that he is an excellent organizer. Although an organizer of an intellectual work, not that of terrorist acts and expropriations.

Herewith, he is a modest man, neither hunting for any influences in that revolutionary movement, and seeking for profit, nor searching for income, but the whole issue seems to doze without him.

He is thoughtful, with a sharp expression on his face; He has his own principles, personal integrity and intellect.

Lortkipanidze teaches and is a socialist in one of the settlements of Voronezh Governorate. He reads, writes a lot and explores the world. He married there a young teacher Lyubov Avramenko. At that time, a female teacher was obviously a modern person, usually fascinated by the ideas of freedom. Lyuba graduated from the Faculty of Natural Sciences of Moscow University.

The sweetheart's father was a manufacturer; and who wants an exiled, socialist son-in-law under police surveillance. But as they say, this knot was tied in heaven. They were an admirable couple, even getting more and more resilient in suffering, one soul and one flesh. The first years of a young family coincided the World War II. Lortkipanidze proved himself to be a family man, he already had his first child, Darejan, and it seemed that

he would not appear on the front line anymore. These were the first years of home warmth, love and care. At the same time, the world was mad and chaotic: at the end of the Great War, the staggering throne of the Russian Tsar was finally overturned, the February Revolution was followed by a severe summer, the October overturn and the Bolsheviks.

There is a kind of irony in the fact that Grigol Lortkipanidze “missed” these revolutions as well. His old comrades-in-arms directed events not only in Tbilisi and Baku, but also in Petrograd and Moscow. He had not visited the capitals since the February Revolution gave freedom to the exiled and imprisoned revolutionaries. As if he remained a provincial revolutionary, he taught and publicized in Belgorod Oblast.

He did not accept the October turnover, but at the same time, did not see the extremely stormy year in the Caucasus, which preceded the declaration of independence of the three countries. It is obvious, he knew the whole issue, probably in details.

Definitely, as if he had missed everything, as if he had become a quiet rebellious provincial intellectual, but a remarkable turn of events had occurred. Before the Bolsheviks won a victory in Petrograd and a Great Civil War broke out, the Mensheviks - Noe Zhordania, Noe Ramishvili, Benia Chkhikvishvili, Evgeni Gegechkori, Akaki Chkhenkeli, and others - had become a leading power in Georgia, tortured by the Ottoman front. It is out of the question to say who exactly recollected Grigol Lortkipanidze first. Probably, they had not forgotten their comrade-in-arms, exiled to the north, probably, they had not even stopped the correspondence with him and it was legible to them that without Grigol it would be unreasonable to bustle about the corridors of the new state of Georgia.

So, he returned back with his family. I think they found him an apartment on Olgha Street. From there he walked to the Vice Regal Palace. The Constituent Assembly, Ministries, everything was there. In the spring, the Transcaucasian countries declared independence. Grigol Lortkipanidze seemed to be a parliamentary man from the very beginning and so it happened, but the party comrades valued his scope correctly: who would let him be a simple member of the assembly? He was appointed as a Minister of Defense, then Minister of Education, Deputy Prime Minister. He constantly was a member and attorney of some councils, always involved in an uninterrupted, non-stop state affairs.

Truth to be told, these words do not mean much. As if there is nothing extraordinary that a forty-year-old politician comes along the top rulers of the country out of the blue. Only Grigol Lortkipanidze was not a ruler, he was a servant.

Here we must remember that the Democratic Republic of Georgia was the first country in the world to be ruled by the Social-Democrats and at the same time it was a country in dire straits: border uncertainty, neighborhood wars, internal Bolshevik uprisings, constant threats from the north and danger from the south; finally, laid red siege, poor and chaotic; making reforms, the success or failure of which was not in the spotlight of population, superb initiatives, democratic laws, declared neutrality and a thirst for decisive international attention, with many shortcomings and advantages, but still unstable, still without foundation and the statehood to be built.

It was extremely hard for the people ruling the young republic.

Numerous people worked tenaciously with all their hearts to build and shape up this state, but if only more outstanding, knowledgeable people have been among them. Even fewer had a strong state instinct and were politicians and civil servants, and quite a few who, along with this instinct, had a sharp mind and the ability

to work hard and make not only decisions, but implement them as well. Such a person was Konstantine Kandelaki. Others could be found too, but, unfortunately, these few men failed to strengthen Georgia back then and could not win the decisive battle for state-building.

Among these few was Grigol Lortkipanidze who revealed some great skills of a statesman. He even turned out a politician who had never been touched by the oppositional causticity. Everyone knew that this very man was doing his work. Being on the post of Deputy Prime Minister meant that Lortkipanidze often replaced Zhordania and at the same time did all the black work. Papers, ordinances, constant attention to a lot of small tasks, education cases that required a lot of expense and, above all, the army, military affairs, even more costly; discipline, the disappearance of revolutionary relations, the merger of the People's Guard – the Menshevik Party military force – with a regular army, the establishment of a common order – these were just the first row tasks. He was not able to abolish the Guard, the party did not compromise.

That is why he was distinguished, he was no longer interested in the party-spirit, and his standpoint made him closer to Social-Democrats, than the party principles. He was the example of a statesman in that complicated country: saying and doing the right and necessary things.

Eventually, there were so many small tasks to be done day by day in the First Republic that initiating noble things lacked endeavour. But one noble thing did not appear to come out of thousand small cases. The young state had the doomed appearance, the redness of the borders increased. There was no effective assistance, we were not even accepted in the League of Nations. Lortkipanidze always saw this, then he even wrote that we should be Europeans culturally, but politically we could not rely on Europe.

In general, he saw both the past and the future on a broader scale, but in those years, during the time of being a statesman, no one had much time and interest in clarifying Lortkipanidze's strategic thoughts.

Then there was that unfortunate war, named the Georgian Workers' Uprising by the Soviet propaganda, and the event was called the Sovietization.

The Military Minister of the Democratic Republic of Georgia, Grigol Lortkipanidze's explanatory note regarding establishing the temporary staff of the artillery near Darial. January 1920

Staff and budget confirmed by the Head of the General Staff, General Zakariadze. January 1920

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia



დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
The document preserved at the National Archives of Georgia


საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულება. 7 მაისი, 1920

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1920 წელს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა გრიგოლ ურატაძე. საბჭოთა რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობდა საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ლევ კარახანი.

ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სუვერენიტეტს; უარს აცხადებდა ყოველგვარ პრეტენზიაზე საქართველოს ტერიტორიაზე და შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

Treaty of Moscow - signed between Soviet Russia (RSFSR) and the Democratic Republic of Georgia. May 7, 1920

Based on the decision of the Government of the Democratic Republic of Georgia, Grigol Uratadze was sent for negotiations with the Government of Soviet Russia. Deputy Minister of Foreign Affairs of Soviet Russia, Lev Karakhin participated in the negotiations.




გრიგოლ ურატაძე (1878-1959) - დიპლომატი, სოციალ-დემოკრატი, რუსეთში საქართველოს პირველი ელჩი

Grigol Uratadze (1878-1959) - diplomat, Social-Democrat, Ambassador of Georgia to Russia


„ბოლშევიკების გულწრფელობის არასდროს არ გვნამდა. მათ ბუნებას ჩვენ კარგად ვიცნობდით. ვიცოდით, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა. მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაარღვევდნენ ხელშეკრულებას და ისიც ასე მოკლე ხანში - ამის დაჯერება კი ძნელი იყო“ - გრიგოლ ურატაძე

“We never believed in Bolsheviks’ honesty. We knew that they were not trustworthy. However, we couldn’t believe that they would breach the agreement in such a short time so cynically“ - Grigol Uratadze



ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკოსები, ძირითადად, პერიოდული პრესითა და სხვადასხვა შეხვედრაზე ხშირი გამოსვლებით აქტიურად ამცნობდნენ ევროპულ საზოგადოებას საქართველოს ოკუპაციის შესახებ.

დემოკრატიული რესპუბლიკის წამყვანმა პოლიტიკოსმა, კარლო ჩხეიძემ პარიზის 1919 წლის საზავო კონფერენციისთვის მომზადებულ რუკაზე დაიტანა პირობითი აღნიშვნები, თუ რომელი მიმართულებიდან შემოვიდნენ ბოლშევიკური წითელი არმიის ქვედანაყოფები საქართველოს დასაპყრობად. აქვე აღნიშნულია, რომ რუსეთის მე-8 არმია შემოდიოდა დარიალის მხრიდან, იმ მიმართულებიდან, რომლის გაძლიერებას გრიგოლ ლორთქიფანიძე 1920 წლის იანვრიდან ცდილობდა.




საქართველოს რუკა, რომელზეც ნაჩვენებია ბოლშევიკური რუსეთის არმიების მიერ 1921 წლის ოკუპაციის მარშრუტები. 1924-1925

Map of Georgia showing routes of occupation of Georgia by Bolshevik Russian troops in 1921. 1924-1925

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia


Emigrated politicians, including Karlo Chkheidze, frequently spoke about and raised the awareness of the European society about the occupation of Georgia. In this case, Karlo Chkheidze presented conditional indications and routes from which the Bolshevik Red Army entered the Georgian territory on the map prepared for the Paris Peace Conference. It is also mentioned here that Russia invaded Georgia from Darial - the route Grigol Lortkipandze tried to strengthen since January 1920.



სამხედრო მინისტრის დეკრეტი სახალხო გვარდიის ხარჯების დასაფარად თანხის გამოყოფის შესახებ. გრიგოლ ლორთქიფანიძის ხელმოწერით. 2 აპრილი, 1920

Decree of the Military Minister regarding the budget for covering people's army expanses. Signed by Grigol Lortkipanidze. 2 April, 1920.


დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia



დეკრეტი თავდაცვის ფონდისთვის 400 მილიონი მანეთის გადადების თაობაზე. ივლისი, 1920

Decree on allocating 400 million rubles for the Defense Fund. July 1920


დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia



სამხედრო მინისტრის მოხსენებითი ბარათი რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურეთათვის ერთი თვის ჯამაგირის ოდენობით ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ. გრიგოლ ლორთქიფანიძის ხელმოწერით. ივლისი, 1920

Note of the Military Minister regarding the support equal to one-month salary for the military and people's army. Signed by Grigol Lortkipanidze. July 1920

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში Preserved at the National Archives of Georgia



დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული და სარედაქციო კომიტეტის მიერ შესწორებული დეკრეტი რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურეთათვის დახმარების განევის თაობაზე. ივლისი, 1920

დოკუმენტს ხელს აწერს ქრისტინე შარაშიძე

Adopted by the Constituent Assembly and amended by the Editorial Committee decree on the support for army. July 1920.

Document is signed by Kristine Sharashidze

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში Preserved at the National Archives of Georgia


ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე (1889-1973) - სოციალ-დემოკრატი. 16 წლის ასაკში შეუერთდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ეწოდა აქტიურ პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობას. 1917 წელს იყო თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. 1919 წლის თებერვალში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო კრების მდივანი, პრეზიდიუმის წევრი. კრებაში ეწოდა აქტიურ საკანონმდებლო საქმიანობას, განსაკუთრებით განათლების მიმართულებით. საბჭოთა რუსეთის მიერ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, გარკვეული პერიოდი ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. შემდგომში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას.

Kristine (Chito) Sharashidze (1889-1973) – Social-Democrat. She was 16 when she joined the Social-Democratic Party. She was engaged in active political and educational activities. In 1917, she was a member of a Constituent Society of the Tbilisi University. In February 1919, she was elected member of the Constituent Assembly. She was a secretary of the Assembly, member of the Presidium. She carried out active educational work. After the Soviet occupation, she was involved in the resistance movement. Then she carried out scientific work.

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძესთან დაკავშირებით ალსანიშნავია გრიგოლ ლორთქიფანიძის შვილების მოგონებანი: „არ შეიძლება მადლიერებით არ გავიხსენოთ ის დიდი თანადგომა, რასაც ჩვენდამი მამის მეგობრები იჩენდნენ. ესენი იყვნენ: ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე, ერთ დროს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი, უაღრესად განსწავლული და განათლებული ქალი, ფილოლოგიის, ცნობილი ქართველი მწერალ-იუმორისტის, შალვა (თაგუნა) შარაშიძის და.“ „გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე“, 1995, გვ. 367.

Memories of Grigol Lortkipanidze’s family about Kristine (Chito) Sharashidze: “I remember with great gratitude the support from my father’s friends. They were: Kristine (Chito) Sharashidze – a member of the Presidium of the Constituent Assembly, a very educated woman, a Georgian writer, Shalva (Taguna) Sharashidze’s sister”. „G. Lortkipanidze, Thoughts about Georgia“, 1995, p. 367.







საქართველოს დამფუძნებელი კრების დეკრეტი რუსეთის ომებში დაჭრილ და დაღუპულ მეომართა ოჯახების დასახმარებლად არსებული კანონის თანახმად თანხის გამოყოფის შესახებ. აგვისტო, 1920

The decree of the Constituent Assembly of Georgia regarding the budget for supporting the families of the wounded and dead in the wars of Russia. August 1920

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia




სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის ხელმოწერილი დეკრეტები საბურთალოზე რადიო-სადგურის ასაგებად კერძო პირთათვის ჩამორთმეული მამულის საფასურის ანაზღაურების შესახებ. აგვისტო-დეკემბერი, 1920

საქართველოში იტალიის სამეფოს პოლიტიკური აგენტის, გენერალური შტაბის პოლკოვნიკის, გაბას წერილი აღნიშნულ ნაკვეთზე შესასრულებელი სამუშაოსა და განეული ხარჯების თაობაზე. 20 მაისი, 1920

1919 წლის პარიზის კონფერენციაზე იტალიას სურდა მანდატის აღება საქართველოზე, რისთვისაც დაიწყო კომუნიკაციის ქსელის მონყობა, თუმცა ბოლშევიკურმა ოკუპაციამ ეს გეგმები ჩაშალა.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში


 Regno Agenzia Politica
 В. Соромо
 Тбилиси, 20-го Мая 1920 г.


Въ ВОЕННОМЪ МИНИСТЕРСТВѢ ГРУЗИНСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ.

К. Р.

После долгихъ поисковъ, было найдено подходящее мѣсто для установки новой Пухляковской станціи въ 2-6 вѣл., находящееся на Владикавказскому шоссе въ мѣстѣ Габалова подъ названіемъ "Дарьла" и находящееся въ 500 саж. отъ Аргаклертскихъ казармъ. Согласно заявленію Геродского Голаса, о томъ что необходимо реквизировать, а потому прошу Вашего распоряженія объ реквизиціи этого помѣщенія, такъ-же и площади пустопорожней земли для устройства трѣхъ мѣстъ. Такъ-же вѣдана мѣта воды отъ Геродского Самоуправленія предлагаю произвести на ее счетъ всѣ возможные работы при условии дать необходимое количество трубы, что если бы найдено возможнымъ будутъ вѣданы Норскимъ Министерствомъ по моему телеграфной просьбѣ.

Прошу Вашего уваженія кто изъ какихъ средствъ будутъ платити за реквизиционное помѣщеніе и пустопорожнюю мѣсто, а такъ-же и за трубы для сообщенія Геродскому Голасу.

Весь радиотелеграфный матеріалъ, установка и прислуга обслуживанія станціи будутъ оплачены Итальянскимъ Правительствомъ. Для ускоренія работъ, прошу Вашего распоряженія о командировкѣ 10/десяти/ солдатъ сарваго батальона, для работъ по устройствѣ мѣстъ и устройствъ земли. Все работа будетъ производиться на болѣе медленъ. Такъ-же на слово въ размѣрѣ 15 руб. будетъ выдана въ пользу Грузии на тѣхъ же основаніяхъ, что и на Навтлугской станціи. Въ виду вышесказаннаго прошу Васъ, если найдете необходимымъ уст



 Regno Agenzia Politica
 d. Italia
 13

невать правительственный контроль на станціи, а такъ-же командировать людей на время работъ для изученія этой системы.

Для передачи телеграммъ, необходимо установить телефонную линію, а еще лучше телеграфную, между станціей и маццеларіей/Грузинская 7./, гдѣ будутъ приниматься, какъ частныя, коммерческія такъ и военныя и другія телеграммы.

Въ виду важности въ производствѣ работъ, прошу срочна уведомить меня по предмету Вашихъ рѣшеній по вышесказаннымъ вопросамъ.

Съ почтеніемъ,
 ИТАЛЬЯНСКІЙ ИМПЕРИОНІИ ПОЛИТИЧЕСКІИ
 АГЕНТЪ, ГЕНЕРАЛЬНАГО ШТАБА ПОЛКОВНИКЪ
 (ГАБА)




Military Minister of the Democratic Republic of Georgia, Grigol Lortkipanidze's decrees on the reimbursement of the costs of the property confiscated for building the radio station in Saburtalo. August-December 1920

The political agent of Italy in Georgia, Colonel of the General Staff, Gaba's letter regarding the costs of the work carried out at the place. 20 May 1920

At the 1919 Conference, Italy wanted to have a mandate on Georgia for which they started building a communication network but the Bolshevik occupation ruined these plans.

Preserved at the National Archives of Georgia




სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის დეკრეტი რესპუბლიკის დაცვის საჭიროებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ. ნოემბერი, 1920

გრიგოლ ლორთქიფანიძის ხელმოწერით.

Military Minister of the Democratic Republic of Georgia, Grigol Lortkipanidze's decree on the budget for the defence of the Republic. November 1920

Signed by Grigol Lortkipanidze.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia



სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის დეკრეტი რესპუბლიკის ლაშქრის სამხედრო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. იანვარი, 1920

გრიგოლ ლორთქიფანიძის ხელმოწერით.

Military Minister of the Democratic Republic of Georgia, Grigol Lortkipanidze's decree on the increase of salary for soldiers. January 1920

Signed by Grigol Lortkipanidze.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia

„საქართველოს რესპუბლიკა“, ბრძანება „რესპუბლიკის ჯარების მიმართ“.
 №194, 28 აგვისტო, 1920


„უკანასკნელ დროს რესპუბლიკის ჯარში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ყოვლად საზიზღარ შემთხვევას - ოფიცრებს უცემიათ ჯარისკაცებისათვის. ზედმეტად მიმაჩნია განუმარტო უფროსებს, თუ რამდენად დაუშვებელი და აღმაშფოთებელია ასეთი ყოვლად უმზგავსო საქციელი. სრულიად მტკიცე და ურყევი სამხედრო დისციპლინა აუცილებელია ჯარში, მაგრამ ქართველი ჯარისკაცის მოქალაქეობრივი შეგნება იმდენათ მაღალია, რომ ის სრულიად არ საჭიროებს აღზრდის ასეთ ბარბაროსულ საშუალებას. ვაი იმ ოფიცერს, რომელიც არა ხელით, არამედ უშვერი გინებით შეურაცყოფს თავისუფალ რესპუბლიკის მხედარს. ბრიგადების და ცალკე ნაწილების კომანდირებს ვებრძანებ სასტიკი თვალყური ადევნოს ამ გვარ მოვლენებს. ულმობლათ დაისაჯოს დამნაშავენი. ასეთ ოფიცრებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ექნეს ადგილი რესპუბლიკის არმიაში. მომხდარი შემთხვევები სასწრაფოდ იქნეს გამოძიებული. დამნაშავენი სასტიკად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ - არმიიდან განიდევნონ და სამართალში მიეცენ. ამიერიდან ასეთი საქმისათვის პასუხს ვაგებინებ არა მარტო პირდაპირ დამნაშავეს, არამედ იმ ნაწილის უფროსს, რომელშიაც ადგილი ექნება ასეთ უმზგავსობას“.

სამხედრო მინისტრი გრ. [გრიგოლ] ლორთქიფანიძე

Sakartvelos Respublika – order for the Republic Army, №194,
 28 August 1920

“Recently, there have been several disgusting cases in the army of the Republic – officers have beaten soldiers. It is unnecessary to explain to the leaders how unacceptable such behaviour is. Strict discipline is essential in the army but the civil awareness of Georgian soldiers is so high that they do not require such barbarian approaches. Shame on those officers who scold the soldiers of the independent republic. I order the commanders to strictly monitor such cases. Criminals should be punished. There is no place for such officers in the Republic army. These cases should be investigated shortly. Criminals should be expelled from the army and put on trial. From now on, not only the violators but the heads of the unit will be held responsible for such cases”.

Military Minister, Grigol Lortkipanidze



ქართველი ჯარისკაცები - სახალხო გვარდიელები.
 1918-1920

Photos: Georgian Soldiers – Guardsmen. 1918-1920

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
 Preserved at the National Archives of Georgia

გრიგოლ ლორთქიფანიძის და მთავრობის წევრების მიმონერა ახალციხის ოლქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. თებერვალი-მარტი, 1919

გრიგოლ ლორთქიფანიძის ტელეგრამა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან ბაქოში, ნიკოლოზ ქარცივაძესთან ახალციხის მუსლიმური შეიარაღებული ბანდების აჯანყების ჩახშობაში ინგლისის ჯარის ნაწილების მონაწილეობის შესახებ. 2 თებერვალი, 1919


„ინგლისის სარდლობამ გენ. დენიკინს უბრძანა სოჭის ტერიტორიის დატოვება. საქართველოს ჯარი ადგილზე რჩება, ოლქს ინგლისის ჯარი დაიკავებს. გაუმჯობესდა დამოკიდებულება ინგლისის მისიასთან. ინგლისი ახალციხეში შექმნილ არეულობას განიხილავს როგორც მოსახლეობის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებას, გამონვეულს არასწორი ადმინისტრაციული პოლიტიკით. და ჩვენი ძალებით უნდა დავამყაროთ მშვიდობა. ჩვენი ცნობებით, საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს აწარმოებენ ასკერები და ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობის ნაწილი. საქართველოსა და მეზობელი სახელმწიფოების საერთო კონფერენციის მოწყობა ეკონომიკური სფეროს სხვადასხვა დარგისთვის კონვენციის შესამუშავებლად. დაეხმარეთ ამ კონფერენციის მოწყობაში“.

Correspondence between Grigol Lortkipanidze and the members of the Government regarding the situation in the Akhaltsikhe district. February-March 1919

Grigol Lortkipanidze’s telegram to the representative of Georgia in Baku, Nikoloz Kartsivadze regarding the participation of the British Army in the suppression of the rebellion of Muslim groups in Akhaltsikhe. 1919

“The British Army ordered General Denikin to leave the Sochi territory. Georgian army remains in place, the British army will take up this location. The attitude toward the British mission has improved. Britain perceives the situation as a rebellion against the government caused by inappropriate administrative policy. We should establish peace. We’ve been informed that Askers and the discontent population organize a rebellion against the government. Help us organize a conference for the economy”.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia





გრიგოლ ლორთქიფანიძის ტელეგრამა ნიკოლოზ ქარცივაძეს დენიკინის ჯარის მიერ სოჭის დაკავებისა და ყარსში არდაღანის ბანდების თარეშის შესახებ. 12 თებერვალი, 1919

„მტრულად განწყობილმა დენიკინის მოხალისეთა ჯარმა სოჭი, გაგრა და ბზიფი დაიკავა. მიუხედავად გენ. ფორესტიე უოკერის რწმუნებისა, თითქოს ინგლისის მთავარსარდლობას კონსტანტინოპოლში გენ. დენიკინისთვის აეკრძალოს საქართველოს ტერიტორიის გადმოკვეთა და საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, 1919 წლის 6 თებერვალს მოხალისეთა არმია თავს დაესხა სოჭში მდგომ ქართულ ჯარს და აპირებს იქ მყოფ ქართველ მაღალჩინოსანთა დახვრეტას. საპასუხოდ საქართველოს მთავრობა მიიღებს უმკაცრეს ზომებს მოხალისეთა არმიასთან დაკავშირებულ, საქართველოში მცხოვრებ, ყველა პირის მიმართ. ამასთანავე, ყარსის ოლქზე პასუხისმგებელი ინგლისის ჯარი არ მიმართავს საჭირო ზომებს არდაღანის ბანდების მტრული მოქმედების აღსაკვეთად. ქართული ჯარის ნაწილები ახალციხეს ტოვებენ. მოხალისეთა ჯარი ჩვენკენ მოემართება. საჭირო ზომების მისაღებად ყოველივე ზემოთქმული შევატყობინეთ ჩვენს წარმომადგენლებს ევროპაში“.

Grigol Lortkipanidze’s telegram to Nikoloz Kartsivadze regarding the occupation of Sochi by the Denikin Army and invasion of Kars by Ardaghan groups. 12 February 1919

“Denikin’s army has occupied Sochi, Gagra and Bzipi. Regardless of General Forestier Walker’s assurance that Britain had forbidden Denikin to cross Georgia’s territory, on 6 February 1919 volunteers attacked Sochi and they are going to execute the Georgian high officials there. In response, Georgia’s Government will take strict measures. Meanwhile, the British army responsible for the Kars district does not take any measures for countering Ardaghan’s groups. Georgian army is leaving Akhaltsikhe. Volunteers are approaching. Our representatives in Europe are informed about the above-mentioned”.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia




კონსტანტინე საბახტარაშვილის ტელეგრამა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს, ნიკოლოზ ქარცივაძეს ახალციხეში შექმნილი ვითარების შესახებ. 19 მარტი, 1919

„აზერბაიჯანულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები სიცრუეა, ახალციხე უბრძოლველად იქნა დაკავებული. ქართული ჯარი მიიწვეს ფოცხოვისკენ, სადაც იმყოფებიან ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილი ბანდები მთელი ნადავლითურთ. ინგლისურ-ქართული კომისიის შექმნა ახალციხის ოლქის საზღვრების დასადგენად მასზე ინგლისელი საგუშაგო რაზმის დასაყენებლად. შეჩერდება ჩვენი ჯარების ფოცხოვისკენ სვლა.“

Konstantine Sabakhtarashvili's telegram to Nikoloz Kartsivadze about the situation in Akhaltsikhe. 19 March 1919

“Information in Azerbaijani’s press is a lie. Akhaltsikhe was taken without a fight. Georgia is approaching Potskhovi, where the enemy is located. Creation of Georgian-English commission for locating English army. Our army will stop moving toward Potskhovi.”

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში Preserved at the National Archives of Georgia




საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორის ტელეგრამა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს, ნიკოლოზ ქარცივაძეს ახალციხეში მიმდინარე მოვლენების შესახებ. 20 მარტი, 1919

„ახალციხეში საომარი მოქმედებები დასრულდა. ინგლისელი საგუშაგო რაზმის დაყენებისა და სტრატეგიული საზღვრის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ჩვენები განზე გადავდებთ. მთავრობა სასწრაფოდ ცდილობს ახალციხის ადგილობრივი მმართველობის ორგანიზებას. მდგომარეობის გამოსარკვევად ახალციხისკენ გამოემართა დამფუძნებელი კრების კომისია.“

To Nikoloz Kartsivadze regarding the istuation in Akhaltsikhe. 20 March 1919

„The war ended in Akhaltsikhe. English army is located and the agreement on the strategic border is signed, our soldiers will step back. The government is trying to organize the local governance of Akhaltsikhe. Commission of the Constituent Assembly is approaching.“

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში Preserved at the National Archives of Georgia




გრიგოლ ლორთქიფანიძის ტელეგრამა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს, ნიკოლოზ ქარცივაძეს ახალციხეში შექმნილი ვითარების შესახებ. 24 მარტი, 1919

„გენ. მაიორი ტომპსონი დათანხმდა ახალციხე-არდაღანის დროებითი საზღვრის დასადგენად შერეული კომისიის შექმნას. არდაღანის ტერიტორიაზე ქართულ ჯარს შესვლა შეუძლია მხოლოდ თავდაცვის მიზნით. აკრძალულია ნებისმიერი სახის სადამსჯელო ქმედება ქართული ჯარის მხრიდან. ქართველი გენერალი პასუხისმგებელია არდაღანის ტერიტორიაზე მისი ჯარების მიერ მოწყობილ სისხლისღვრაზე. გენ. მაიორმა ტომპსონმა გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით თავის წარმომადგენლად დანიშნა პოლკ. სტიუარტი, რომელიც ახლავს არდაღანისკენ მიმავალ ქართულ ჯარს.“

Grigol Lortkipanidze's telegram to Nikoloz Kartsivadze. 24 March 1919

“General Thompson has agreed on the creation of a joint commission for establishing the temporary border. Georgian army can go into Ardaghan territory only for self-defence purposes. Any punishing operation from the Georgian side is forbidden. Georgian general is responsible for bloodshed on the Ardaghan territory. For avoiding confusion, General Thompson appointed Commander Stewart as his representative who accompanies the Georgian army”

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia




საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჩკორის ტელეგრამა (N1975) საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს, ნიკოლოზ ქარცივაძეს ახალციხის ოლქში ვითარების გაუმჯობესების შესახებ. 24 მარტი, 1919

„ახალციხეში ვითარება გამოსწორების გზაზეა, მოსახლეობა მშვიდდება, მთავრობა ცდილობს ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბებას. ოლქში დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული წესრიგის დამყარების იმედი გვაქვს თუ კობლიანსკიმ, მუზაკიევმა და სხვებმა ხელი არ შეგვიშალეს. სისხლისღვრა და არეულობა გამონვეული იყო ცალკეული პირების მიერ, რომლებმაც თავის ავანტიურაში მოსახლეობის მცირე ნაწილი ჩაითრიეს.“

Telegram of the Minister of Foreign Affairs, Gegechkori (N1975) to Nikoloz Kartsivadze. 24 March 1919

“The situation is improving in Akhaltsikhe, the population is calming down, the Government is trying to form the local governance. We hope for establishing an order based on democratic principles in the district if Koblianski, Muzakiev and others do not interfere. Bloodshed and chaos were caused by particular persons, who provoked a small part of the society.”

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia





ნიკოლოზ ქარცივაძე (1884-1937) – სოციალ დემოკრატი. 1917 წელს იგი აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წელს იგი გახდა საქართველოს რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1920 წელს კი დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად (მოადგილედ). 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ნიკოლოზ ქარცივაძემ არ დატოვა საქართველო და აქტიურად ჩაერთო ანტისაბჭოთა მოძრაობაში: იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პარიტეტული კომიტეტის წევრი, 1922 წელს გოგიტა ფაღავა შეცვალა თავმჯდომარის პოზიციაზე და ორგანოს 1923 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1924 წლის აჯანყების შემდეგ 10 წლით გადაასახლეს, 1937 წელს კი დახვრიტეს.

Nikoloz Kartsivadze (1884-1937) – Social-Democrat. In 1917, he was elected member of the National Council of Georgia. In 1918, he became an Ambassador of Georgia to the Azerbaijan Republic, in 1920, he was appointed Deputy Minister of Foreign Affairs. In 1921, after the Soviet occupation of Georgia, Nikoloz Kartsivadze did not left Georgia and got engaged in anti-Soviet activities: he was a member of the Independence Committee, 1922 he replaced Gogita Paghava as a head of the committee and led the organization until 1923. After the 1924 rebellion, he was resettled for 10 years and in 1937, he was executed.

ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში
Photo Preserved at the National Parliament Library of Georgia

ჯარის ნაწილში
შინაგარეო ურთიერ-
ებათ.

22 აგვის. 1920 წ.

მხედარი

წელი 10 გან.



25
33

№ 12

ორგანო სამხ. სამინ. კულტ.-განათლ. საქმეისა.

№ 12



საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე სამხედრო მინისტრი
გ. ლორთქიპანიძე.

გვილინი. 22 აგვისტო.

ინვალისიტი საქართველოს რესპუბლიკის პირ-
ველია. რა იმის გამოვლინებაა, რომელიც
სამხედრო ძალის დასაცემად, იმის გამოვლი-
ნებაა, რომელიც თავისი უფლებების
დაცვას უნდა უზრუნველყოს.
საქართველოს მთელი ისტორია ერთი
დასუსტების ისტორიაა. ეს იმის გამოვლი-
ნებაა, რომელიც თავისი უფლებების
დაცვას უნდა უზრუნველყოს.
საქართველოს მთელი ისტორია ერთი
დასუსტების ისტორიაა. ეს იმის გამოვლი-
ნებაა, რომელიც თავისი უფლებების
დაცვას უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს მთელი ისტორია ერთი
დასუსტების ისტორიაა. ეს იმის გამოვლი-
ნებაა, რომელიც თავისი უფლებების
დაცვას უნდა უზრუნველყოს.
საქართველოს მთელი ისტორია ერთი
დასუსტების ისტორიაა. ეს იმის გამოვლი-
ნებაა, რომელიც თავისი უფლებების
დაცვას უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს კულტურისა და განათლების სექციის ჟურნალი „მხედარი“, რომელიც ჯარის ნაწილებში ვრცელდებოდა. 22 აგვისტო, 1920

The journal of the Culture and Education Section of the Ministry of Defense of the Republic of Georgia „Mkhedari“, which was distributed among the troops. 22 August 1920

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №179,
11 აგვისტო 1920

„ზოგიერთი სამხედრო ნაწილები, დაწესებულებები, შტატები და სამმართველოები დღემდის განაგრძობენ საქმის წარმოებას და მიმონერას არა სახელმწიფო ენაზე. საკმარისი დრო იყო, ვინც არ იცოდა, შეესწავლა ამ ხნის განმავლობაში ენა და თუ არ მოხდა, ამის მიზეზი არის მხოლოდ სურვილის უქონლობა. ვბრძანებ ამიერიდან ყოველივე მიწერ-მონერა და საქმის წარმოება სამხედრო უწყებაში წარმოებდეს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.“

სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე

Sakartvelos Respublika, N179,
11 August 1920

„Some military units continue providing correspondence in unofficial language. Those who did not know Georgian had enough time to learn it and if they did not, the lack of will is the main reason. I order that from now on, all of the official documents to be created only in Georgian.“

Military Minister Grigol Lortkipanidze



გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №199,
3 სექტემბერი, 1920

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ მისალოცი დეპუტა გაუგზავნა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს, ოგანჯიანს.



„გულწრფელი კმაყოფილებით მიიღო ქართველმა ხალხმა ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენმა რწმუნებულმა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად მოაწერა ხელი ოსმალეთთან ზავს. ქართველი ერი და მისი მთავრობა ინაწილებს თქვენს ზეიმსა და სიხარულს იმ უდიდესი ისტორიული აქტის გამო, რომელიც მოხდა სომხეთის ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. გვწამს, რომ უძნელესი მომენტები სომხეთის ტრაგედიისა უკვე განვლილია. გაუმარჯოს და აყვავდეს სომხეთის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობის საქმე. დეე, კიდევ უფრო განმტკიცდეს უკვე აღმდგარი მეგობრობა და ძმობა ჩვენი ქვეშაარითად ძმური ხალხებისა.“

Sakartvelos Respublika, N199,
3 September 1920

Grigol Lortkipanidze sent congratulations to the head of the Armenian Government, Oganjanian.

„Georgian people are glad that you have signed a treaty with the Ottomans. Georgian people and government share your happiness for the important act in the history of Armenia. We believe that the tragic events in the Armenian history are gone. May the independence and statehood of Armenia flourish. May the brotherhood between our people become even stronger.“



ს. აკაკი ჩხენკელი თბილისის ბანკის წევრების ფოტო, რომელიც

13²⁴ 1920

ს. აკაკი ჩხენკელი

საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრების ფოტო, რომელიც
საჩუქრად გაუგზავნეს აკაკი ჩხენკელს.
24 ივლისი, 1920

მარცხნიდან სხედან: აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, რაჟდენ არსენიძე,
იასონ ლორთქიფანიძე, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ნიკო ელიავა.
ცენტრში თეთრ სამოსში დგას გიორგი ჟურული.

Photo of the members of the Bank of Georgia sent to Akaki Chkhenkeli.
24 July 1920

Akaki Chkhenkeli, Grigol Lortkipanidze, Razhden Arsenidze, Iason Lortkiphanidze, Noe
Ramishvili, Aleksandre Lomtadidze, Niko Eliava, Giorgi Zhuruli.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, წერილი - „დიდებული დღე“.
№9, 14 იანვარი, 1920**

„კიდევ ერთი დიდებული დღის სანეტარო წუთები განიცადა ტფილისმა. საზავო კონფერენციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ელვის სისწრაფით მოედო ტფილისს.“



დილის 10 საათზე ქუჩებში კანტი-კუნტად ისმოდა ხმები ამ სანეტარო ცნობის შესახებ, ზოგს არ სჯეროდა, მაგრამ 11-12 საათზე უკვე ყველასათვის ცხადი შეიქნა ეს სასიამოვნო ცნობა, ტფილისმა უცბად სადღესასწაულო სახე მიიღო, ხალხი ქუჩებში გამოფინა, შეწყდა მუშაობა ყველგან, აფრიალდა ეროვნული დროშები, ატყდა ზარის რეკა, ჯარი და გვარდია დაირაზმა, სიმღერა, მუსიკა... 1 საათია, ზღვა ხალხი მოაწყდა სასახლის ეზოს. ტევა აღარ არის. მოვიდა მასწავლებელთა მთელი ყრილობა. ხალხს სწყურია ამ ბედნიერ წუთს იხილოს ჩვენი სახელმწიფოს მესვეურნი...



„მოქალაქენო, ისმის ამ დროს სამხედრო მინისტრის გრ. [გრიგოლ] ლორთქიფანიძის ხმა, ბედნიერ ვარ მეც მოგილოცოთ ეს ბედნიერი დღე, მე თქვენი წრიდან ვარ გამოსული (მიმართავს მასწავლებლებს), ბედმა მარგუნა სათავეში ჩავდგომოდი სახელმწიფოს, ახალგაზრდა ჯარს სახელოვან გვარდიასთან ერთად.“


ისმის ტაშის გრიალი.“

**„Sakartvelos Respublika“, letter – “Gloriuos Day”, N9,
14 January 1920**

„Tbilisi has yet another happy day. The Peace Conference has recognized the independence of Georgia. At 10 AM, voices about this news were heard in the city and some did not believe it but by 11-12 AM everything became clear and Tbilisi became festive, people came out in the streets, work had been suspended everywhere, flags were flying everywhere, songs, music... by 1 PM, masses came to the yard of the Palace. People want to see the officials during these happy hours.“

„Grigol Lortkipanidze’s voice is heard: ‘Citizens, congratulations on this happy day. I am one of you and I was destined to lead the state, young army with the glorious guard!’“

Applauds.“



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და იურე აღიარებისადმი მიძღვნილი ზეიმი. 6 თებერვალი, 1921

ტრიბუნაზე დგანან ნოე ჟორდანია, სვიმონ მდივანი, პარმენ ჩიჩინაძე, მარჯვნიდან პირველი - ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე და საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები.

Celebration Dedicated to the de jure Recognition of the Independence of the Democratic Republic of Georgia. 6 February 1921

Noe Zhordania, Svimon Mdivani, Parmen Chichinadze, Ekvtime Takaishvili, Aleksandre Lomtadidze, Grigol Lortkipanidze, representatives of France and Germany standing on the stage.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia

„საქართველოს რესპუბლიკა“, სამხედრო მინისტრის მოწოდება (ამონარიდები). №98, 4 მაისი, 1920

„საქართველოს მხედრობავ, კომანდირებო, ჯარისკაცნო და გვარდიელებო.

მთელი ქვეყნიერება, მტერი და მოყვარე სულ განაბული შემოგყურებთ თქვენ. ველურობისა და ბარბაროსობის ორმა დიდმა ნაკადულმა თურქთა ფანატიკოსებმა და რუსთა ბოლშევიკებმა კავშირი შეკრეს. აოხრებული ოსმალეთი და განადგურებული რუსეთი ერთი მეორეს კავშირის ხელს უწვდის და ვინაიდან მათ შუაში საქართველო სდგას, ისინიც ჩვენს განადგურებას აპირებენ. ამ გაველურებულ ურდოებს უნდათ საქართველოს გვამზე სამეზობლო ხიდი გასდოს.

საქართველოს მხედარნო! თქვენ მიერ შექმნილი თქვენი საყვარელი სამშობლო დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრი შეიქმნა. აქ სწყდება დიდი ისტორიული კითხვა: შესძლებს თუ არა ცივილიზაციისა და პროგრესის ორი შავი ძალა გადალახოს საქართველო და შეკრას კავშირი თუ არა. პატარა საქართველოს ისტორიამ დიდი მსოფლიო საქმე დააკისრა. ჩვენი სახელმწიფოს ბედი და იღბალიც აი ეხლა უნდა საბოლოოთ გაიჭედოს. მთელი მოწინავე კაცობრიობის, მთელი ევროპის დემოკრატიის თანაგრძნობა და დახმარება ჩვენს მხარეზეა. მთელი ქართველი ერი მტკიცეთ სდგას თქვენს ზურგს უკან. მამ გაათკეცეთ თქვენი ენერჯია და მუშაობა.

ზურგის სამხედრო დანებებულებებს, შტაბებს, კანცელარიებს, სამნეო კომიტეტის განყოფილებას და სხვებს ახსოვდეთ, რომ ისინი არსებობენ ჯარისკაცებისათვის, ფრონტისათვის. ვურბანებ შეამცირონ კანცელიარული ფორმალობა და ვოლოკიტა. გაათკეცონ ენერჯია და მუშაობა, დილას და საღამოს და თუ საჭირო იქნება ღამითაც. და ვაი იმ მოხელეს რომლის დაუდევრობით, ზარმაცობით ან ვერაგობის მიზეზით ჯარისკაცს ერთი დღით დაუგვიანდებათ სურსათი, და ტანსაცმელი.

გაერთსულოვნებული ფრონტი და ზურგი, გაათკეცებული და აღფრთოვანებული შრომა, ენერჯია, ბრძოლა და გამარჯვება ჩვენია.“

სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე
მაისის 4, 1920 წელი

„Sakartvelos Respublika“, excerpts from Military Minister's call, №98, 4 May 1920

„Dear Georgian army, commanders, soldiers, guards.

The whole country is watching you. Turkish fanatics and Russian Bolsheviks have allied and as Georgia is standing in the middle, they are going to destroy us. They want to build a bridge on our corpse.

Georgian soldiers! Your home country is at the centre of the world's attention. Here will be decided whether these two dark powers can cross Georgia and make an alliance. Small Georgia has a great mission. Our fate is to be decided now. Support of the European democracy is on our side. Georgian people stand behind you. So, enhance your energy and work!

Military units, staff, chancellors, committees standing behind should remember that they exist for soldiers, for the front. In order to decrease the chancellery formality and enhance their energy during the day and night. Shame on those whose laziness soldiers will not receive food on time.

United front and back, enhanced commitment, energy and fight and the victory will be ours!“

Military Minister, Grigol Lortkipanidze
4 May 1920



სახალხო გვარდიის ყრილობის მონაწილეთა ჯგუფი. 1920

სხედან მარცხნიდან: 2. ი. ქარცივაძე, 3. მ. ვარდოიანი 4. რ. არსენიძე 5. რ. აუშტროვი 6. გ. მახარაძე 7. ნოე ხომერიკი (მინათმოქმედების მინისტრი) 8. გრიგოლ ლორთქიფანიძე (სამხედრო მინისტრი) 9. ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე) 10. ვ. ჯუღელი (სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი) 11. ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი) 12. გ. ცინცაძე

A group of People's guard. 1920

From the left: 2. I. Kartsivadze, 3. M Vardoian, 4. R. Arsenidze, 5. R. Aushtrov, 6. G. Makharadze, 7. Noe Khomeriki, 8. Grigol Lortkipanidze, 9. Noe Zhordania, 10. V. Jugheli, 11. Noe Ramishvili, 12. G. Tsintsadze

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia

„საქართველოს რესპუბლიკა“, მიეძღვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად ცნობას. №23, 1 თებერვალი, 1921

ქუჩებში

„ქუჩებში ამ დროს ცივი ქარი ჰქროდა და ნელნელა თოვდა კიდეც. დამფუძნებელი კრებიდან დაწყებული მანიფესტაცია მოსიარულეთათვის მოულოდნელი ამბავი იყო. მანიფესტაცია რუსთველის პროსპექტით გაემართა მთავრობის სახლისკენ. პირველი მიტინგი გაიმართა მუშათა სასახლის წინ. მთავრობის სახლის წინ დიდძალი საზოგადოება შეგროვდა. სახლები და მაღაზიები უკვე შეემკოთ დროშებით. აქედან მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია დაიძრა უკანვე, დამფუძნებელი კრებისაკენ. სასახლის წინ მოედანი ხალხით გაიჭედა. ქუჩებში გამოჩნდნენ სახალხო გვარდიის ცხენოსანი და ქვეითი ნაწილები, ჯარის ნაწილები მუსიკით, მუშების ჯგუფი - წითელი დროშებით.

სასახლის წინ სიტყვა დაიწყო ს. [სამსონ] დადიანმა. ცოტა ხნის შემდეგ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის აივანზე გამოჩნდნენ კრების პრეზიდიუმის წევრები: ალ. [ალექსანდრე] ლომთათიძე და ე. [ექვთიმე] თაყაიშვილი, მთავრობის წევრები: ნ. [ნოე] ჟორდანიას, ნ. [ნოე] რამიშვილი, გრ. [გრიგოლ] ლორთქიფანიძე და სხვები.“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო ასპარეზზე გაემყარებინათ.

1921 წლის 6 თებერვალს თბილისში არაერთი საელჩო და დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა. საქართველოს დე-იურე ცნობა მიულოცეს ქვეყანაში აკრედიტებულმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე-ფაქტო და დე-იურე ცნობასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსულოები, საელჩოები გაიხსნა საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, რუსეთში, ოსმალეთში, არგენტინაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, აშშ-ში, უკრაინაში, პოლონეთში და სხვ.

„Sakartvelos Respublika“, Dedicated to the Independence of Georgia, N23, 1 February 1921

Into the Streets

“Wind was blowing and it was snowing in the streets. The manifestation was an unexpected event for pedestrians. The manifestation from Rustaveli Avenue headed to the Governmental Palace. The first manifestation was held in front of the Workers’ House. A lot of people gathered in front of the Governmental Palace. Then the manifestation headed to the Constituent Assembly. The army appeared in the streets and workers with red flags.

Samson Dadiani made a speech. Then the Presidium members came out on the balcony: Aleksandre Lomtadize, Ekvtime Takaishvili; Members of the Government: Noe Zhordania, Noe Ramishvili, Grigol Lortkipanidze and others.”

The Government of Georgia, Ministry of Foreign Affairs, diplomats did their best to recognize Georgia’s independence on the international level.

On 6 February 1921, many embassies were opened in Tbilisi. Also, Georgian embassies were opened in France, England, Italy, Germany, Switzerland, Belgium, Russia, Ottoman Empire, Argentina, Norway, USA, Ukraine, Poland, etc.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, ამავე დროს, სახალხო განათლების მინისტრმა - გრიგოლ ლორთქიფანიძემ დეპეშათა სააგენტოსთან საქართველოს იურიდიულად აღიარებასთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრებანი გამოსთქვა:

„ეს ფაქტი ქართველი ხალხის ცხოვრებაში წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელსაც ყოველმხრივ მნიშვნელობა აქვს. ამიერიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არის არა დროულად შექმნილი სახელმწიფო ერთეული, არამედ ნამდვილი სახელმწიფო, რომელიც აღჭურვილია ამ მცნების ყოველგვარი ატრიბუტებით. საქართველო უკვე აღარ არის საერთაშორისო კომბინაციების ობიექტი მხოლოდ, არამედ იგი არის საერთაშორისო უფლების სუბიექტიც.“

„ჩვენი ეკონომიკური კავშირი ევროპასთან ამდენ ხანს უფრო მჭიდროდ და ნორმალური იქნებოდა, და ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა არ იქნებოდა ასე გაძნელებული. ეკონომიკური შეთანხმებანი, რომელიც გვაქვს დადებული ევროპასთან, ევროპელების მიერ ერთგვარი რისკის ქვეშ არიან შეკრული, მათ იმედი ქონდათ, რომ საქართველო ცნობილი იქნებოდა სრულუფლებიან წევრად. ჩვენ კონტრაგენტებს აღარ აქვთ უკვე საფუძველი შიშისა და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი დაუყოვნებლივ შეუდგებიან მუშაობას.“

„ჩვენი დაუყოვნებლივი და მორიგი მიზანი არის ნახევრად რუსული ბონებიდან საკუთარ მტკიცე ფულის სისტემაზე გადასვლა.“

„უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ საქმეში დიდი ღვაწლი გასწიეს იმ ადგილობრივმა მისიებმა რომლებიც ამჟამად აქ იმყოფებიან ან იყვნენ აქ წინეთ.“

„თქვენ მეკითხებით, თუ როგორ პოლიტიკურ გავლენას მოახდენს ეს აქტი თვით შინაურ ცხოვრებაზე. ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო: ნუ თუ ყოველი ჩვენთაგანი არ გრძნობს მომხდარის სიძლიერეს და სიდიდეს. ყოველი ჩვენთაგანი კვირის იქეთ როცა მივიღეთ ეს ცნობა, რომ უფრო ძლიერად გრძნობს თავს ვიდრე წინეთ? მთლიანი რესპუბლიკა გაცილებით უფრო ძლიერი შეიქმნა ვიდრე წინეთ. საქართველოს რესპუბლიკა დღემდე მხოლოდ ფაქტი იყო, მისი ისტორიის ფურცლებიდან ამოშლა შესაძლებელი იყო ასეთივე ფაქტის საშუალებით, შეიძლება ასეთი ცდუნება ვინმეს კიდევ ჰქონდა. მაგრამ ახლა საქართველოს არსებობა არა მარტო ფაქტია, არამედ იგი უფლებაც არის. მართალია, დიდია ფაქტის სიძლიერე და უფლების სიმართლე, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის განუზომლად დიდია უფლების სიძლიერეც, ვინაიდან ჩვენი იურიდიული დამოუკიდებლობა არის უზარმაზარი რეალური ფაქტი და დიდი ძალა.“

„Sakartvelos Respublika“, N25, 3 February 1921

Grigol Lortkipanidze expressed the following opinions regarding the recognition of Georgia's independence:

“This fact is a very important event in the history of Georgia. From now on, the Democratic Republic of Georgia is a real state with all of its characteristics. Georgia is no longer just an object of international combinations but it is a legal subject as well”

“Our economic links with Europe would be much deeper and normal and our economic conditions would not be so difficult. Our agreements with Europe were signed under the risk as Europe hoped for Georgia's independence. Now they do not have to fear and we hope they will start working immediately. Our goal is to switch to our currency from Russian money”.

“Local missions have significantly contributed to this process”.

“You ask me how this will affect internal life. No need to talks about this if everyone does not understand the greatness of what has happened. The whole Republic is stronger than before. The Georgian Republic was just a fact, it was possible to eradicate it from history but now the existence of Georgia is not just a fact but a right. Now the strength of the right is important for us. Our legal independence is a fact and power”.





გრიგოლ ლორთქიფანიძე

Grigol Lortkipanidze



დაცულია საქართველოს
ეროვნულ არქივში
Preserved at the National
Archives of Georgia



წითელი არმიის მე-11 დივიზიის შემოსვლა თბილისში. თებერვალი, 1921

The invasion of the 11th division of the Red Army in Tbilisi. February, 1921

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia



საქართველოს მთავრობის დადგენილება, რესპუბლიკის განძეულობის საზღვარგარეთ გატანის შესახებ. მარტი, 1921

აღნიშნული პუნქტი მოგვიანებით, ხელით ჩაამატეს მთავრობის სხდომის დადგენილებაში.

„რესპუბლიკის განძეულობის საზღვარგარეთ გატანის შესახებ. რესპუბლიკის განძეულობა გატანილ იქნას საზღვარგარეთ. იგი უნდა ინახებოდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელზე მთავრობის განკარგულებაში. მთავრობის მხრივ განძეულობას უნდა გაჰყვეს ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ი. ელიგულაშვილი. სასურველია ერთი წარმომადგენელი დამფუძნებელი კრებიდან.“

დოკუმენტს ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, გრიგოლ ლორთქიფანიძე.

Decree of the Government of Georgia on the transfer of Republic's treasury abroad. March 1921

This point was added to the decree later with handwriting.
“On the transfer of Republic's treasury abroad. The treasury of the Republic should be taken abroad. It should be kept in the name of the Government of Georgia. Deputy Minister of Finance, I. Eligulashvili should follow the treasury and one representative from the Constituent Assembly is desirable.”

Signed by Grigol Lortkipanidze.

დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში
Preserved at the Library of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University




იოსებ ელიგულაშვილი (1890-1952) – 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. 1919 წლიდან იყო ეკონომიკური აგენტი როტერდამსა და საფრანგეთში, შემდეგ – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის მოადგილე. 1921 წლის თებერვალში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საგანძურის ევაკუაციაში საფრანგეთში. ემიგრაციაში ცხოვრობდა პარიზში, მონაწილეობდა ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეორე მსოფლიო ომის წლებში მრავალი ქართველი ებრაელი გამოიხსნა ნაცისტთა ტყვეობიდან.


Ioseb Eligulashvili (1890-1952) – in 1919, he was elected member of the Constituent Assembly from the Social-Democratic Party. Since 1919, he was an economic agent in Rotterdam and France, then – the Deputy Minister of Finance and Trade. In February 1921, he evacuated the Georgian treasury to France together with Ekvtime Takaishvili. He lived in exile in France and participated in the social life of emigrants. During WWII, he saved many Jews from Nazis.



ექვთიმე თაყაიშვილი (1862-1953) – დამფუძნებელი კრებიდან განძეულობის მცველად მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილი შეირჩა.

Ekvtime Takaishvili (1862-1953) – he was selected as a protector of the treasury from the Constituent Assembly.





საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების ნევრების ხელმოწერებით. კონსტიტუციის მიღებით დასრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესი.

The Constitution of Georgia, adopted on 21 February 1921 with the signatures of the members of the Constituent Assembly of Georgia.
The formation of the Georgian state concluded with the adoption of the Constitution.

დაცულია საქართველოს პარლამენტში
Preserved at the Parliament of Georgia

გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოს კონსტიტუციის შესახებ

„პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის ფრიად საინტერესო მოვლენა, რომ მონობიდან ახლათ გამოსულმა ქართველმა ხალხმა შექმნა უაღრესათ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია. ლაპარაკია, რასაკვირველია, არა იმდენად იმ წერილობითი კონსტიტუციის ტექსტზე, რომელიც რესპუბლიკის უზენაესმა ორგანომ, დამფუძნებელმა კრებამ საბოლოოთ მიიღო იმ დროს, როდესაც მის სატახტოს ირგვლივ მტრისა და მოყვრის ზარბაზანთა გუგუნი ისმოდა, არამედ აქ იგულისხმება ის ნაწილობრივით წერილობითი და ნაწილობრივით ფაქტიური კონსტიტუცია, რომელიც ქართველმა ხალხმა ორგანიულათ შეიმუშავა და რომელსაც სამი წლის განმავლობაში ატარებდა ის ცხოვრებაში. ამ ფაქტიური კონსტიტუციის დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ერეკლეს ფეოდალური და საერისთაო საქართველო, საქართველო, რომელიც თავის ტიპოგრაფიული მდგომარეობითა და ჯერ კიდევ არ გამქრალ ტომებრივ განსხვავებითა და სიჭრელით თითქოს ეხლაც


გამზადებული იყო კუთხური განკერძოებისათვის, რომ აი, ეს საქართველო აღსდგა როგორც უაღრესათ დემოკრატიული და იმავე დროს ცენტრალური რესპუბლიკა“.

გ. ლორთქიფანიძე, „ფიქრები საქართველოზე“, 1995, გვ. 188, 189

Grigol Lortkipanidze about the Constitution of Georgia

“First of all, it should be noted that the newly-liberated Georgian people created a democratic constitution. I mean not the one adopted by the Constituent Assembly adopted when the enemy had encircled it but partly factual constitution carried by the Georgian people for 3 years. It was an important characteristic of this constitution that it was still appropriate for regional differences. Georgia was restored as a democratic and centralized Republic”.

G. Lortkipanidze, „Thoughts about Georgia“, 1995, pp. 188-189



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის 1921 წლის 18 მარტს ქუთაისში დადებული „სამეგობრო“ შეთანხმება. ხელს აწერენ: გრიგოლ ლორთქიფანიძე და მამია ორახელაშვილი.

სახელმწიფო გადატრიალების, დესტაბილიზაციის რამდენიმე მცდელობის შემდეგ, 1921 წლის 11 თებერვალს, წინასწარი განცხადების გარეშე, საბჭოთა ჯარები საქართველოს ხუთ სხვადასხვა ფრონტზე უტევდნენ. 1921 წლის 23 თებერვალს საქართველოს ოსმალეთმაც ომი გამოუცხადა. ქართული ჯარი და სახალხო გვარდია გმირულად იბრძოდა ექვსი კვირის განმავლობაში.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ უკანასკნელი სხდომა, ყუმბარების ცვენის ფონზე, ბათუმში გამართეს. შექმნილი ვითარების გამო, გადაწყდა: მთავრობის ემიგრაციაში გაშვება და ბრძოლის გაგრძელება კაპიტულაციის ხელმოწერის გარეშე. მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საქართველოს არ უღიარებია ოკუპაციის ფაქტი და მის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელ კრებას უფლებამოსილება არ მოუხსნია.

შეთანხმების მე-14 პუნქტის თანახმად: „საქართველოს რევკომი თავის 25 თებერვლის ამნისტის დეკრეტის დამატებათ ადასტურებს, რომ არ აგებინებს პასუხს და არ დასჯის არც სასამართლოთი და არც ადმინისტრაციული წესით რესპუბლიკის არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, სამხედრო პირებს ჯარისკაცებიდან დაწყებული, ვიდრე მთავარ სარდლამდე, გვარდიელებს, გვარდიის ოფიცრებს და შტაბის წევრებს, ადმინისტრაციის ყველა მოხელეთ და საერთოდ ყველა იმ პირთ, რომელთა მოქმედება მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურიდან და მოღვაწეობიდან გამომდინარეობდა.“

საბჭოთარუსეთმასულმალე დაარღვია შეთანხმება, რეპრესიები ამ დოკუმენტის ხელმოწერს, გრიგოლ ლორთქიფანიძეს და არაერთ სხვა პოლიტიკურ თუ სამხედრო მოღვაწეს შეეხო.

Agreement between the Government of Georgia and Revkom of Georgia of 18 March 1921 signed by Grigol Lortkipanidze and Mamia Orakhelashvili.

After several attempts of the coup and destabilization, the Soviet army was attacking Georgia from 5 different fronts on 11 February 1921. On 23 February 1921, the Ottoman Empire also declared war against Georgia. Georgian army fought heroically for six weeks.

On 17 March 1921, the Constituent Assembly and Government held the last meeting under the warfare. It was decided to send the Government into exile and continue fighting without signing the capitulation. It was an important decision because Georgia had not recognized the occupation and the Constituent Assembly had not abandoned its duty.

Based on the 14th article of the agreement, “Revkom of Georgia confirms with the decree of 25 February that it will not punish political figures, soldiers, administrative workers and other public figures of the Republic”.

Soon, Soviet Russia violated the agreement and repressed many of the signatories of the agreement, including Grigol Lortkipanidze.



მამია ორახელაშვილი (1881-1937) – ქართველი ბოლშევიკი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე.

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის ერთ-ერთი შემოქმედი. კომუნისტური პარტიის ერთგული სამსახურის მიუხედავად, 1937 წელს, „სტალინური ტერორის“ დროს, დახვრიტეს.

Mamia Orakhelashvili (1881-1937) – Georgian Bolshevik and Soviet Party official.

One of the leaders of the Soviet occupation of Georgia in 1921. Regardless of his loyalty to the Communist Party, in 1937, he was shot dead during Stalin's terror.


დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia



საბჭოთა რეპრესიები

SOVIET REPRESSIONS





აღნიშნული ორი ბარათი დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში. პირველი შევსებულია გრიგოლ ლორთქიფანიძის დაკავების დროს - 1921 წელს, თუმცა ბარათის უკანა მხარეს სხვადასხვა დროს დამატებითი მინიშნებებიც არის გაჩენილი.

These two notes are preserved at the Information-Analytical Department at the Ministry of Internal Affairs of Georgia. The first one is filled during Grigol Lortkipanidze's first arrest in 1921 but the note has some additions made at different times on the back.

გრიგოლ ლორთქიფანიძის დაკავებისას შევსებული ბარათი. 1921

გვარი - ლორთქიფანიძე (Лордкипанидзе)

სახელი და მამის სახელი - გრიგოლ სპირიდონის ძე

დაბადების წელი და ადგილი - 1881, ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფ. ისრითი

ეროვნება - ქართველი

საცხოვრებელი ადგილი - სოფელი ისრითი

შენიშვნა: ბრალდ. კონტრ-რევოლუციაში

ხელმოწერა - აგამალოვა

ლორთქიფანიძე გ.ს.

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის (Кол. ОГПУ) 15/1 - 26 წლის გადაწყვეტილებით გადასახლებული იქნას კურსკში 3 წლით

საქ. 13-266 - მუხლ. 904.

13/V/25 წლის საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკა; ЧК) გადაწყვეტილებით საგამოძიებო საქმე შეწყდა დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

Form filled during Grigol Lortkipanidze's arrest. 1921

Surname – Lortkipanidze

Name and patronym – Grigol, Spiridon

Date and place of birth – 1881, the village of Kutaisi district, Isriti

Nationality – Georgian

Place of residence – Village Isriti

პასუხი: მთელი 1921 წელი, ნოემბერ-დეკემბრამდე მე და ასევე მენშევიკების პარტია საერთო ჯამში უმოქმედოდ ვიყავით და დანაპირებს ვასრულებდით. 1921 წლის ნოემბერში სახალხო კომისართა საბჭოში (სოვნარკომი) გამოცხადდა დელეგაცია და გადასცა მემორანდუმი, რომელიც აღიარებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაპირებები არ სრულდებოდა. ამის საპასუხოდ, სამუშაო დელეგაცია სასახლეშივე დააპატიმრეს. ამან იმოქმედა ბიძგად არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლაზე და დაიწყო ფურცლების გამოშვება.

კითხვა: ვინ იყო დაკავებული [მენშევიკების] ცენტრალურ კომიტეტში საორგანიზაციო საკითხებით?

პასუხი: ეს იყო 15 წლის წინ, ბევრი რა თქმა უნდა არ მახსოვს, მაგრამ ამას გარდა, რევოლუციონერის ეთიკა არასოდეს მაძლევდა უფლებას ამ წვრილმანებში შევსულიყავი. მე უკვე მოვიხადე სასჯელი 12-13 წელი.

კითხვა: თქვენ ჩვენებაში განაცხადეთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტს აღიქვამდით როგორც მის ოკუპაციას. ემხრობით თუ არა ისევ ამ შეხედულებას?

პასუხი: ისტორიული ფაქტები დროის მონაკვეთში არ იცვლება.

Question: Why did you refuse to collaborate with the Soviet government and choose the counterrevolutionary way for fighting against it?


Answer: Whole 1921, before November-December, the Menshevik Party and I had remained inactive as promised. In November 1921, a delegation came to the Sovnarkom and presented a memorandum, revealing that the Soviet government was not fulfilling its promise. This encouraged us to move to the illegal condition and the publication of papers started.

Question: Who was in charge of the organizational issues and the Central Committee of Mensheviks?

Answer: This was 15 years ago and, of course, I do not remember many things. Besides, the revolutionary ethic has never allowed me to go into such details. I have already served 12-13 years of my sentence.



Question: In your testimony, you said that you perceived the establishment of the Soviet rule in Georgia as an occupation. Do you still support this claim?

Answer: Historical facts do not change in a period of time.



სპეციალური ცნობა საბჭოთა კავშირის შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს-
 თვის. ხელს აწერს მეორე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი, შემდგომში
 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სერგო გოგლიძე. 22 ივნისი,
 1936

Special notice for the special advisory body of the People's Commissariat for Internal Affairs.
 The notice is signed by the Commissar of Security, later the Commissar of Internal Affairs of the
 Georgian SSR, Sergo Goglidze. 22 June 1936



ლევან რუხაძის წერილი სერგო გოგლიძისადმი. 25 ივნისი, 1936

დღემდე ჩემთვის გაუგებარი იყო თუ რატო ვიყავი დაპატიმრებული, რადგან საქართველოში დაბრუნების შემდეგ მე არავითარ პოლიტიკურ მუშაობაში არ მიიღია მონაწილეობა, ვექიმობდი (ფილტვების ქვლეჯით ვარ დაავადებული) და რაც შემეძლო მამისეულ საკარმიდამო მიწაზე ვმუშაობდი. დაკითხვის პროცესში გამოვარკვიე, რომ მე დაპატიმრებული ვარ ჩემი მსოფლმხედველობისთვის და არა რაიმე მოქმედებისთვის. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მე არავითარ დანაშაულს არ ვგრძნობ და ამისთვის წარმოდგენილი ბრალდების მუხლები მიმაცნია წარსული ბრალდების განმეორებით, რისთვისაც მე მოვიხადე 13 წლის გრძელი სასჯელი.

მოთავსებული ვარ მე-14 საკანში, რომელიც ძალზე გადატვირთულია პატიმრებით (6-7 კაცის ნაცვლად ვართ 12-15 კაცი), რის გამოც საკანში სუნთქვა შეუძლებელი ხდება. საკანში ცხოვრება მიხდება შიმშილის პირობებში. არავითარ შემთხვევაში არ მეგონა, რომ სამშობლოში მოსვლა და სოფელში რამდენიმე თვით ცხოვრება, ყველასგან განცალკევებული და აბსოლიტურათ ლოიალური, გახდებოდა მიზეზი ახალი დაპატიმრებისა.

Levan Rukhadze's letter to Sergo Goglidze. 25 June 1936

Until today, I did not understand why I was arrested because, after my return to Georgia, I had not participated in any political activities. I had to be undergoing treatment (I have tuberculosis) and worked on my paternal land. During my questioning, I found out that I was arrested for my views and not my activities. I do not consider that I have committed any crime after my return to my homeland and I think that the accusations against me are the repetition of my previous charges for which I have already served a 13-year sentence.

I am allocated to the 14th cell, which is overcrowded by prisoners (we are 12-15 instead of 6-7), for which it is difficult to breathe here. I have to live under hunger in the cell. I could not have imagined that my return to my homeland and living in the village, isolated from everyone, would be another reason for my arrest.

Форма № 1.
Учтенная записочка и регистрационная карточка.

4/3 № 739-56

МЕМОРАНДУМ

- По делу № 7896 ОПО УГБ НКВД СССР
(Имя и инициалы лица)
- Фамилия РУХАДЗЕ Леван Леван
именно: Порфирьевич 2. Год рождения 1893
- Профессия Земледелец
- Положение вето службы и должность
Земледелец колхоза
- Сколько лет 24 лет
- Сколько лет на работе
- Его партийность
член партии с 1928 года
- По какой ст. УК привлекается 66/10, 10/11 УК РСФСР
- К кому и кем осужден
- Участие в к.р., шпионаже, терроризме (или саботаже)
Участие в к.р. в 1928 году, шпионаже, терроризме в 1930 году

Состав: Семин

12. Можно ли вербовать осужденного и для какой работы:
На вербовку не пойдет.

13. Какие особенности необходимо учесть при выполнении обязанностей:
на общих основаниях.

1936 г. 5. 9.

Опер уполномочен. НА КИРОВО ГБ

И. П. ИДЖАНА

/УТВЕРЖДАЮ/

И. П. НАСР ГОРБЕШИН

/УТВЕРЖДАЮ/

მემორანდუმი ლევან რუხაძის შესახებ. 1 ივლისი, 1936

მიზანერი: გადაბირებაზე არ წამოვა [На вербовку не пойдет].

Memorandum about Levan Rukhadze. 1 July 1936

A note on the second page: На вербовку не пойдет [Will not be recruited].

91

А. СЕКРЕТНО.

Нач. УГО УГБ НКВД по КАЗССР
гор. Алма-Ата

УЧЕТНО-СТАТИСТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ
12/7896/С

Препровождается меморандум по делу № 7896/С на
РУХАДЗЕ Левана (Леван) Порфирьевича
для сведения. 12/7896/С

Одновременно сообщаем, что нами дано распоряжение № 4
составом 1936 г. НКВД СССР о на-
правлении осужденного в ваше распоряжение.

Осужденного называется взять на особый учет в порядке прика-
за № 257/с-33 г.

Прибытие подтвердите.

ПРИЛОЖЕНИЕ: меморандум. И. П. Семин

Зам. Начальника УГО УГБ НКВД:
Нач. Отдела УГО:

ყაზახეთის სსრ-ში, ქალაქ ალმა-ათაში
გაგზავნის ცნობა ამიერკავკასიის
შინსახკომიდან. 4 სექტემბერი, 1936

A notice from NKVD about sending him to
Almaty, the Kazakhstan SSR. 4 September
1936



ლევან რუხაძე, პატიმრობისას გადაღებული ფოტო

Levan Rukhadze, photo taken during his imprisonment

3444-11, 5736-57
 Продолжение № 3
 СЕКРЕТНО

Попросу выслать архивные сведения № № 3444, 739 и 5736 (следств. агентур. дела)

Политбюро Уфимско-архивного отдела КРБ при Совете Министров Узбекской ССР
 Гор. Ташкент

по которому проходит:

1. Фамилия **РУХАДЗЕ**

2. Имя, отчество **ЛЕВАН ПЕРФИРЬЕВИЧ**

3. Год рождения **1893**

4. Место рождения **С. Контуати, Ханского р-на, Узбек. ССР.**

5. Данные о судимости или другие сведения **В 1937г. Тройкой УНКВД по Восточно-Казах. области расстрелян.**

6. Мотивы истребования дела **Проверка правильности его осуждения в 1937г.**

а) **дел № 3444-5/2. За 1922 год. б) дел № 739-56г. За 1936 год.**

в) **дел № 5736-59г.**

Начальник КРБ по Сем. обл.
 (начальник отдела)

полковник
 (начальник отдела)



10. 1960г. 16.V. 60 1546

2. Семшанашвили

ყაზახეთის სსრ ქ. სემიპალატინსკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან (КГБ) გამოგზავნილი ცნობა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების კომიტეტის აღრიცხვისა და საარქივო განყოფილების ხელმძღვანელისადმი ლევან რუხაძის დახვრეტის თაობაზე. 16 მაისი, 1960

A notice sent from the KGB of Semipalatinsk, the Kazakhstan SSR, to the head of the Security Committee and the Archival Unit about Levan Rukhadze's execution. 16 May 1960



დაცულია ლეო რუხაძის შთამომავლების ოჯახში
 Preserved in the family of Leo Rukhadze's descendants



გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი მეუღლის, ლიუბა ავრამენკოსადმი. 5 იანვარი, 1937

მოგილოცავთ ახალ წელს შენ და ბავშვებს და უთვალავს გაკოცებთ სიყვარულით. შენი უკანასკნელი ღია ბარათი მივიღე, მოხარული ვარ, რომ კარგად ხართ და არც წინად ყოფილხართ ჯანზე ცუდათ, როგორც ეს მე მეგონა შენი წინანდელი წერილის გამო. შენგან და ბავშვებიდან მოლოცვის დეკემბაც მივიღე. სამაგიერო აღარ გამომიგზავნია, რადგან ჩემი ვადის მოლოდინში ან მართლა დიდი მოლოცვა უნდა გამოგიგზავნო, ანდა რა ფასი და მნიშვნელობა აქვს ახალი წლების მოლოცვას. ჩემი მხრით თუ ეს ახალი წლებიც თქვენგან დაშორებული ვიქნები. ჯერჯერობით ჩემი საქმის შესახებ არაფერი ისმის. თუმცა ძალიან დიდი იმედი გვაქვს, ისეთი როგორც არასოდეს... უკვე ახალ კონსტიტუციაში ვცხოვრობთ, როდესაც უკვე მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს კანონს, სასჯელის ვადასა და სხვა. ვფიქრობ 15-იანვრისთვის უნდა გამოირკვეს ყველაფერი. მართალია ეხლა აქედან წამოსვლა მეტად გაძნელებულია. ოთხი მატარებელი გააუქმეს. დარჩა მხოლოდ ერთი და ორი სამი კვირის განმავლობაში ვერ მიემგზავრებიან მსურველები, მაგრამ ამას არა უშავს, როგორც იქნება დავძლევათ, თუ სხვა დაბრკოლება არ იქნა. ლიუბა ჩემო იმ იმედით, რომ მეც მალე ვიქნები შენთან ტფილისის სახელმწიფო ბანკში ვაგზავნი მიღებულ კომპენსაციას და საერთოდ ჩვენ ბინის საყიდელ მარაგს 2600 მანათს წიგნაკზე. იქნებ შეიძინოთ ერთი ოთახი ჩვენ ბინაში, ანდა საბინაო კოოპერაციებში ჩავეწეროთ. კიდევ მრავალს გაკოცებს მარად შენი გრიგოლი.


დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში



Grigol Lortkipanidze's letter to his wife, Lyuba Avramenko. 5 January 1937

Happy New Year to you and our kids! Sending kisses and love! I have received your last open letter. I am glad that you feel fine and you have not been ill, as I thought due to your previous letter. I have received a congratulatory letter from you and the kids. I did not send a response because, while waiting for my sentence to expire, I should send a really big congratulation or, otherwise, wishing a happy new year has no real value. There is no news regarding my case yet. But I am hopeful as never before... We live under the new constitution when the law has more power. I think, by 15 January, everything will clarify. Leaving this place has become difficult. 4 trains were cancelled. Only one train has remained and people wait for two-three weeks to travel. But this is not a problem, we will overcome it if the other challenges do not emerge. My dear Lyuba, with the hope that we will soon be together, I am sending my compensation, 2,600 Rubles to the Tbilisi State Bank for buying a flat for us. Maybe you manage to buy one room in our flat or register us in the flat cooperative. Sending lots of kisses! Yours, Grigol.

Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი შვილობილის, ლევან რუხაძისადმი. 1937

1937 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძე დააპატიმრეს და ხუთი წლის ვადით ციმბირში გადაასახლეს. ციხიდან წერილს აგზავნის შვილობილთან, ლეო რუხაძესთან:

ძვირფასო შვილობილო! მრავალს გაკოცებ სიყვარულით. ჩემი ამბავი გეცოდინება. ასე გვითხრეს, 13 იანვარს დაგიმზადებთ სამშობლოში წასასვლელ დოკუმენტებსო. დათქმულ დღეს კი გამოგვიცხადეს დაპატიმრება და დაგვინიშნეს ჩხრეკა. იმავე საღამოს წაგვიკითხეს 21 დეკემბრის დადგენილება: ხუთი წელი გამასწორებელი ბანაკი. 17 იანვარს გაგვგზავნეს ციმბირში – მარინსკში, ხოლო აქედან მიგვიყვანეს კუზნეცსკში. ამგვარად თვეზე მეტია არ მოგვცილდა გადასახლება და ეტაპი. ბოლოს გამოგვიცხადეს: გაგზავნით გორნოშორის ბანაკში, რკინიგზის შენებაზე. ეს ყველაზე მძიმე ბანაკია მთელს ციმბირში, სადაც ზაფხული თითქმის არ იცის. ალექსანდრე დგებუაძე ძალიან დასუსტებულია, ძვლებად და უმთავრესად ნერვებად არის ქცეული. მე თითქოს არა მიშავ-რა, ოღონდ ეგ არის, ბრონქიტი დამემართა და ქრონიკული სურდო, მკბენარებმა ამიკლეს და მანამებენ. ველით ამ დღეებში გამგზავრებას. იციან თუ არა სახლში ჩემი ამბავი არ ვიცი. მოკითხვა გრიშას და სხვებს. შენი მამა.

Grigol Lortkipanidze's letter to Levan Rukhadze. 1937

In 1937, Grigol Lortkipanidze was arrested and resettled in Siberia for five years. From prison, he sent a letter to Leo Rukhadze:

Dear [adopted] son! Sending you lots of kisses with love. You should already know about me. I have been told that they would prepare a document for my return to the homeland on 13 January. But on the set date, they announced our arrest and legal search. In the same evening, they read our verdict: five years to the labor camp. On 17 January, we were sent to Siberia – Marinsk and then we were taken to Kuznetsk. Thus, it has been a month, we have been resettled. Finally, they declared that they would send us to the Gornoshor Labor Camp, on the railway construction. This is the toughest camp in the whole of Siberia, where there is no summer. Aleksandre Dgebuadze is very weakened. I am fine, but I have bronchitis, a chronic runny nose and bugs torture me. We will be transferred during the next few days. I do not know if they know about me in our family. My greetings to Grisha and others. Your father.


დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



კალისტრატე გაგუა, გრიგოლ ლორთქიფანიძე და მისი მეუღლე, ლიუბა ავრამენკო გადასახლებაში. 1920-იანი წლები

Kalistrat Gagua, Grigol Lortkipanidze and his wife, Lyuba Avramenko in exile. The 1920s

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the National Archives of Georgia




გრიგოლ ლორთქიფანიძის მეუღლის, ლიუბა ავრამენკო-ლორთქიფანიძის წერილი საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარისადმი. 14 დეკემბერი, 1937

ლიუბა ავრამენკო წერს, რომ იგი ოქტომბერში გაათავისუფლეს სამსახურიდან, იმის გამო, რომ მისი ქმარი, მენშევიკი გრიგოლ ლორთქიფანიძე 16 წელია, გადასახლებულია, ხოლო თვითონ გააზრებულად არ ცხოვრობს მასთან, საბჭოთა ხელისუფლების ერთგულია და შვილები დამოუკიდებლად, ქმრის გავლენის გარეშე გაზარდა. წერილით იგი ითხოვს სამსახურში აღდგენას. მისამართი: პლექხანოვის გამზირი 118.




Grigol Lortkipanidze's wife, Lyuba Aramenko-Lortkipanidze's letter to the head of the Commission of the Soviet Control. 14 December 1937

Lyuba Aramenko writes that she was dismissed from her job in October because his husband, Grigol Lortkipanidze had been resettled for 16 years while she does not live with him on purpose as she is loyal to the Soviet authority and she raised their kids independently from her husband's influence. With this letter, she requests her restoration to her position at jobs. Address: 118, Plekhanov Avenue.

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts






სსმ36ა
MEMORY



1995 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაშრომი – „ფიქრები საქართველოზე“. რედაქტორი – პაატა სურგულაძე

Grigol Lortkipanidze's work published by the Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 1995 – „Thoughts about Georgia“. Edited by Paata Surguladze

დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში Preserved at the National Parliament Library of Georgia



ნაშრომები ვრიგოლ ლორთქიფანიძის შესახებ

Publications about Grigol Lortkipanidze



2007 წელს თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის 125 წლისთავისადმი მიძღვნილ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამართულ კონფერენციაზე მოსაწვევი ბარათი, საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარის, ასევე რეპრეზენტული პოეტის, ნიკოლო მინიშვილის შვილის, ილამაზ მინიშვილისადმი.

An invitation letter to the conference at the Academy of Sciences, dedicated to Grigol Lortkipanidze's 125th anniversary, sent to the chair of the society Memorial, Ilamaz Mitsishvili who is a son of a repressed poet, Nikolo Mitsishvili

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში Preserved at the Archives of the society Memorial

პატივცემულ *ილამაზ მინიშვილს*

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის კომისია, გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება და საზოგადოება „მემორიალი“ აწყობენ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და მთაწარისის გრიგოლ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 125 და მოწაშობრივი სიკვდილიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას.

სხდომა გაიმართება ა.წ. 20 აპრილს 14 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში – რუსთაველის გამზირი №52, V სართული

სხდომას წარუძღვება შემოთაღნიშნული კომისიის თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II

გთხოვთ მობრძანდეთ

„მთავრობის წევრი და კანონმდებელი, სარდალი და მღვდელმთავარი, მხედარი და მოქალაქე თანაბარის მოკრძალებითა და პატივით უნდა ეპყრობოდეს საქართველოს მეცნიერების ტაძარს და მის მსახურთ“.

გრიგოლ ლორთქიფანიძის პოლიტიკური ანდერძიდან.

დღის წესრიგი

1. შესავალი სიტყვა – ელვერ კუპატაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გრ. ლორთქიფანიძის საზოგადოების თავმჯდომარე.
2. გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე და ბრძოლა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ“ – პროფესორ ალექსანდრე ბენდიანიშვილი.
3. გრიგოლ ლორთქიფანიძე და ეროვნული საკითხი – აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი.
4. სიტყვებით გამოვლენ: აკადემიკოსები: მ. ლორთქიფანიძე, შ. ნადირაშვილი, პროფესორები: გ. ლორთქიფანიძე, გ. ყორანაშვილი, ა. მუჯირი, ო. ჯანელიძე, უ. ბლუაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ვ. გაჩეჩილაძე, ვ. ლორთქიფანიძე, ლ. ფრუიძე და სხვები.

„რუსეთის წითელი იმპერიალიზმი ვველგან და ვველაფერში სავსებით იმავე მიზანს ემსახურებოდა საქართველოსა და კავკასიაში, რომელსაც წინათ ატარებდა მონარქიული რუსეთი. იმუათად მოიძებნება კაცობრიობის ისტორიაში ისეთი გამხოლოებული და არაპოპულარული ხელისუფლება, როგორც იყო საოკუპაციო ხელისუფლება საქართველოში“.

გრიგოლ ლორთქიფანიძე „ფიქრები საქართველოზე“

ცნობები პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შესახებ

ქართული პარტია სსრკ-სთვის
1981-1983 წლები

1. ვაგარი, სახელი, მამის სახელი ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე. დაბადების ადგილი, თარიღი (კვირთუბი). 1921-12-03
2. დაბადების ადგილი, თარიღი (კვირთუბი). 1921-12-03
3. ეროვნება . ქართველი . 4. წარმომავალი 5. განათლება . უმაღლესი 6. პარტიული წევრის
7. პროფესიის/ოფისის დასახელება . საქმიანობა . საქმიანობა 8. მიღწეული პარტიის წევრის
10. სამეცნიერო ხარისხი, წოდება . არა 11. უმაღლესი
12. სამეცნიერო შრომები, გამოგონებები, მხატვრული ნაწარმოებები /სია/. საქმიანობა
13. საზღვარგარეთ ყოფნა, სად, რა მიზნით . საქმიანობა
14. საცხოვრებელი ადგილი რეპრესიის მომენტისათვის . ქ. თბილისი 15. დაპატიმრების თარიღი, ადგილი . 1921-12-03
16. დაპატიმრების მოტივი, ბრალდება, განაჩენი დასჯის სახეობა . 1921-12-03
17. განაჩენის გამოჯანის თარიღი . 1921-12-03
18. გადასახლების ადგილი და პერიოდი . 1921-12-03
19. დაბრუნების ადგილი, საქმიანობა
20. ოჯახური მდგომარეობა /შემადგენლობა/ რეპრესიის დროს . 1921-12-03
21. ოჯახის წევრების ხვედრი რეპრესიის შემდეგ . 1921-12-03
22. მშობლების ვინაობა, საქმიანობა . 1921-12-03
23. რეპრესირებულის ცოცხალი შთამომავლები, მათი საქმიანობა, მისამართი, ველდობის ნომერი . 1921-12-03
24. ცნობარის შემდგომი

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

ლორთქიპანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე
1921 წლის 12-03-ს დაიბადა ქ. კვირთუბში, სადაც იგიც დაიბრუნდა 1921-12-03-ს.

გრიგოლ ლორთქიპანიძის შვილების, თეიმურაზის და დარეჯანის მიერ საზოგადოება „მემორიალისთვის“ შევსებული ანკედა - ცნობები პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შესახებ. 14 დეკემბერი, 1992

Form filled by Grigol Lortkipanidze's son and daughter – Teimuraz and Darejan for the society Memorial – notes about political repressions. 14 December 1992

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში
Preserved at the Archives of the society Memorial

გრიგოლ ლორთქიფანიძის პირადი
არქივი ხელნაწერთა ეროვნულ
ცენტრს გადაეცა

გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, განათლებისა და სამხედრო მინისტრის, დამფუძნებელი კრების წევრის - გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძის პირადი არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა.

როგორც ცენტრიდან იუწყებიან, არქივი მოიცავს ლორთქიფანიძის ისტორიულ დოკუმენტებს, ფოტოსურათებს, წიგნებს, ქართულ და რუსულენოვან ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის პირადი არქივის ერთი ნაწილი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს მისმა შვილმა, თეიმურაზ ლორთქიფანიძემ გადასცა. მეორე ნაწილი მანვე 1997 წელს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივს ჩააბარა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის, ბუბა კუდავას განცხადებით, აღნიშნული მასალა წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს როგორც XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, ისე თავად გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით.

მისივე ცნობით, გრიგოლ ლორთქიფანიძის პირადი არქივი შესასწავლად მეცნიერებს გადაეცა, სათანადო დამუშავების შემდეგ კი შედგება აღწერილობა და მასალა ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი გახდება.

ინტერპრესნიუსი

„24 საათი“. N 14; 22.01.08

საგაზეთო სტატია გრიგოლ ლორთქიფანიძის პირადი არქივის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის გადაცემის თაობაზე. „24 საათი“, 22 იანვარი, 2008

Newspaper article about transferring Grigol Lortkipanidze's personal archive to the National Center of Manuscripts. "24 Saati", 2 January 2008

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში
Preserved at the Archives of the society Memorial




„თუ ვინიცობაა, რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალა...“

„საქართველოს რესპუბლიკა“, 3 დეკემბერი, 2005

„If I die in Russia's Captivity...“

„Sakartvelos Respublika“ [The Republic of Georgia], 3 December 2005

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში Preserved at the Archives of the society Memorial




ერის ტკივილი - გრიგოლ ლორთქიფანიძის ტკივილია

1997 წლის გაზეთის - „ერთობა“ მაისის ნომერი სრულად მიეძღვნა გრიგოლ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 115 წლისთავს

Pain of the Nation is Grigol Lortkipanidze's Pain

The May 1997 issue of the newspaper „Ertoba“ [Unity] was dedicated to Grigol Lortkipanidze's 115th birthday

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში
Preserved at the Archives of the society Memorial





დავნი ყუბამისკი

„საქართველოს რესპუბლიკა“,
21 მარტი, 2006

Condemned to be forgotten

„Sakartvelos Respublika“ [The Republic of Georgia], 21 March 2006

დაცული საზოგადოება „მემორიალის“ არქივში

Preserved at the Archives of the society Memorial



ერის ზნეობრივი გმირი

„გრ. ლორთქიფანიძემ გააშიშვლა ერთმორწმუნე მეზობლის დაპყრობითი პოლიტიკა, გამოაშკარავა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის ფორმები. მის „ფიქრებში“ სწორადაა გადმოცემული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების მამოძრავებელი ძალები.“

„საქართველოს რესპუბლიკა“, 8 მაისი, 2002

The Moral Hero of the Nation

Gr. Lortkipanidze exposed the expansive policy of the co-religionist neighbor, forms of colonization and Russification. The motive powers of the stages of the national-liberating movement of the Georgian people are well formulated in his “Thoughts”.

„Sakartvelos Respublika“ [The Republic of Georgia], 8 May 2002

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში
Preserved at the Archives of the society Memorial



„ღირსეული წინაპრის ხსოვნის უკვდავსაყოფად“

„განათლება“, 26 აპრილი - 2 მაისი, 2007

„For Commemorating the Honorable Ancestor“

„Ganatleba“ [Education], 26 April - 2 May 2007

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში
Preserved at the Archives of the society Memorial



1936 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ნება დართეს, მეუღლესთან, ლიუბა ავრამენკოსთან ერთად თვენახევრით კურორტ კისლოვოდსკში ჩასულიყო

„საქართველოს რესპუბლიკა“, 22 ოქტომბერი, 2005

In 1936, Grigol Lortkipanidze was allowed to go to the resort Kislovodsk for a month and a half together with his wife, Lyuba Avramenko

„Sakartvelos Respublika“ [The Republic of Georgia], 22 October 2005



მარჯვენა ფოტო (1) - სწორედ კისლოვოდსკშია გადაღებული.

The photo on the right (1) is taken in Kislovodsk.



მარცხენა ფოტოზე (2) - გრიგოლ ლორთქიფანიძის მეუღლის, ლიუბა ავრამენკოს და, კლავდია და მისი მეუღლე ნიკოლოზ ქოიავა.

The photo on the right is The photo on the left (2) – Sister of Grigol Lortkipanidze’s wife, Lyuba Avramenko – Klavdia and her husband, Nikoloz Kojava taken in Kislovodsk.

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში
Preserved at the Archives of the society Memorial

„ქართველი ვაჟებზე სიტყვები ბრძოლა არა აუ ჯობდა წინააღმდეგობა, არამედ სიბრძნე იყო და არა გარჯა ხალხი არცერთ სიბრძნეზე და სიბრძნე უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა ძალა“



გაუბრებელი

საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Introductory text for the article)

საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Continuation of the article)

საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Continuation of the article)

საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Continuation of the article)

საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Continuation of the article)

გაუბრებელი სული

გაუბრებელი სული



საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Continuation of the article)

საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Continuation of the article)

საქართველოში მრავალი წელია და გარდაცემულია... (Continuation of the article)

სამშობლოს სინდის-ნამუსი

სამშობლოს სინდის-ნამუსი

სამშობლოს სინდის-ნამუსი



სამშობლოს სინდის-ნამუსი



სამშობლოს სინდის-ნამუსი

სამშობლოს სინდის-ნამუსი

გაუბრებელი სული

„საქართველოს რესპუბლიკა“, 6 დეკემბერი, 2006

Unbreakable Soul

„Sakartvelos Respublika“ [The Republic of Georgia], 6 December 2006

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში Preserved at the Archives of the society Memorial

სამშობლოს სინდის-ნამუსი

„საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ივლისი, 2006

Conscience of Homeland

„Sakartvelos Respublika“ [The Republic of Georgia], 28 July 2006

დაცულია საზოგადოება „მემორიალის“ არქივში Preserved at the Archives of the society Memorial



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
 ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА

გარდაცვალების მოწმობა
 СВИДЕТЕЛЬСТВО О СМЕРТИ

РЭ № 029767

მოქ. ლორთქიფანიძე
 გრ. სამხრეთი (ქაიხაძის)
გრიგორი სპირიდოვიჩი
 (სახელი და მისი სახელის უკმალო ოტчество)
 გარდაიცვალა 1956 წლის აპრილის 20-ს გელაშვილის
 Умер (და) სოფლის
 (დასაფლავების ადგილი და ცენტრები, ქალი, მამა და ბიძები)
სოფლის სოფლის სოფლის სოფლის
 (პროსკრიპციის შიფრები წელი, თვე და რიცხვი)
 გარდაცვალების მიზეზი
 Причина смерти
 რაზედაც გარდაცვალების შესახებ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების
 о чем в книге записей актов гражданского состояния
 იასაწიწ წიგნი 1956 წელს 15 თვეს 20 რიცხვს
 о смерти года месяца числа
 მოხდენილია სათანადო ჩაწერა № 13 -ით.
 произведена соответствующая запись за
 გარდაცვალების ადგილი: ქალაქი, სოფელი
 Место смерти: город, селение
 რაიონი სამხრეთი ოლქი, რესპუბლიკა
 район область, республика
 რეგისტრაციის ადგილი სამხრეთი რაიონი
 Место регистрации (სამხრეთი ბიუროს დასახელება და ადგილმდებარეობა)
სამხრეთი რაიონი
 наименование и местонахождение бюро ЗАГС)
 Дата выдачи 20 15 1956.
 მოქალაქობრივ მდგომარეობის
 აქტების ჩაწერის ბიუროს განგე
 Записный бюро записей
 актов гражданского состояния

Грузинский язык. Госпак. 1947.

გრიგოლ ლორთქიფანიძის გარდაცვალების მოწმობა, გაცემული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ. 20 აპრილი, 1956

A note about Grigol Lortkipanidze's death issued by the Georgian SSR. 20 April 1956

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
 Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



გრიგოლ ლორთქიფანიძის რეაბილიტაციის ცნობა, გაცემული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ. 31 მაისი, 1956

სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მისი ეპოქის რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაცია. საქართველოს სსრ პროკურატურის დადგენილებით, საქმე გრიგოლ ლორთქიფანიძის წინააღმდეგ შეწყდა და ის სრულად იქნა რეაბილიტირებული.

A note on Grigol Lortkipanidze's rehabilitation issued by the Georgian SSR. 31 May 1956

After Stalin's death, the rehabilitation of the victims of the repressions of his time started. Based on the decision of the Prosecutor's Office of the Georgian SSR, the case against Grigol Lortkipanidze was suspended and he was fully rehabilitated.

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



№ 17/8-ღ-5

ქობულაძის
ქ. ტფილისი

30 - სექტემბერი 1996 წ.

გვ. № 1

ც ნ ო ბ ა

მოქალაქე გრიგორი სპირიდონის-ძე ლორთქიფანიძე დაბადებული 1881 წ., რომელიც დაპატიმრებულ იქნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ და წარდგენილი პქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას მოწოდებას) და 58-II (ყოველგვარი ორგანიზაციული კმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) მუხლები 1937 წ. 22 აგვისტოს ძიების დროს გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ პრეზიუმის მოადგილის 1956 წ. 31 მაისის დადგენილებით საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის უქონლობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

განყოფილების უფროსი




[Handwritten signature]

ი. შირონოვი

საქართველოს შსს არქივის მიერ გაცემული ცნობა გრიგოლ ლორთქიფანიძის 1937 წლის 22 აგვისტოს, ძიების დროს გარდაცვალებისა და 1956 წელს რეაბილიტაციის შესახებ. 30 სექტემბერი, 1996

The note about Grigol Lortkipanidze's death on 22 August 1937 and his rehabilitation in 1956 issued by the MIA Archives of Georgia. 30 September 1996

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



ქალაქ თბილისის ჩუგურეთის რაიონის სასამართლოს სხვადასხვა დროს მიღებული ორი გადაწყვეტილება გრიგოლ ლორთქიფანიძის შვილის, თეიმურაზის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ. 17 თებერვალი, 1998 - 10 თებერვალი, 1999

Two verdicts of the Chugureti Court regarding the recognition of Grigol Lortkipanidze's son, Teimuraz as a victim of repressions. 17 February 1998 – 10 February 1999

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



გრეგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების ლოგო

გრეგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება დაფუძნდა 1998 წლის 22 ივნისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გრეგოლ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომასა და სამეცნიერო კონფერენციაზე.

საზოგადოების დამფუძნებლები, ცნობილ მეცნიერებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, იყვნენ გრეგოლ ლორთქიფანიძის შვილები: დარეჯან, თეიმურაზ და ნოდარ ლორთქიფანიძეები.

საზოგადოების პირველი პრეზიდენტი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე. სხვადასხვა დროს საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელვერ კუპატაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი. ამჟამად საზოგადოების პრეზიდენტია ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი პაატა სურგულაძე. საზოგადოების მიზანია გრეგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა-პოპულარიზაცია, მისი ნაშრომების გამოცემა, მის შესახებ დაწერილი ნაშრომების პუბლიკაცია, ეროვნული და ჰუმანური ზოგადსაკაცობრიო იდეალების დანერგვა და ამით წვლილის შეტანა საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისა და ძლიერი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში.

The logo of the Grigol Lortkipanidze Society

Grigol Lortkipanidze's Society was established on 22 June 1998 at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, at the celebratory meeting and the scientific conference dedicated to Grigol Lortkipanidze.

The founders of the Society, together with the representatives of academia and intelligentsia, were Grigol Lortkipanidze's sons and a daughter – Darejan, Teimuraz and Nodar Lortkipanidzes.

The first President of the Society was a member of the Academy of Sciences, professor Guram Lortkipanidze. At different times, the Society was led by the Doctor of Historical Sciences, Elver Kupatadze and the Doctor of Historical Sciences, Aleksandre Bendianishvili. Today, the President of the Society is the Doctor of Historical Sciences, Professor Paata Surguladze. The goal of the society is to study and popularize Grigol Lortkipanidze's life and deeds, publish his works and other publications about him, promotion of national and humane ideals and, in this way, contribute to the democratic development of Georgia and the formation of strong, national statehood.



გრეგოლ ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩის აბრა, თბილისი

ისანი-სამგორის რ-ნი (ზემო მეტალურგების დასახლება); წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში და თავდაპირველად ერქვა ქინძმარაულის ქუჩა. 1967 წელს ქუჩის ერთ მონაკვეთს კაიროს სახელი ეწოდა, რომელსაც 1996 გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელი დაერქვა.

გრეგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა არის ბათუმშიც.

The signboard of Grigol Lortkipanidze's street, Tbilisi

Isani-Samgori district (the settlement of the Upper Metallurgists); established in the 1940s and first it was named the Kindzmarauli street. In 1967, one section of the street was named after Cairo in 1967 and in 1996, it was renamed again as the Grigol Lortkipanidze street.

There is Grigol Lortkipanidze's street in Batumi too.



დავით აღმაშენებლის გამზირზე (ყოფილი პლექხანოვის პროსპექტი №118) მდებარე სახლი, რომელშიც ცხოვრობდა გრიგოლ ლორთქიფანიძის ოჯახი

The house on Davit Ahmashenebeli Avenue (former 118 Plekhanov Avenue), in which Grigol Lortkipanidze's family Lived



გრიგოლ ღორთქიფანიძის მემორიალური დაფა პავლე ინგოროყვას ქ. №22-ში მდებარე შენობაზე

1903 წელს, პეტერბურგის დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით, ლაბორატორიის ქუჩა (Лабораторная Улица) ქუჩას ეწოდა პეტრე დიდის სახელი. სწორედ პეტრე დიდის ქუჩაზე, აღნიშნულ შენობაში ცხოვრობდა გრიგოლ ღორთქიფანიძე პირველი რესპუბლიკის პერიოდში.

1923 წელს ქუჩას ეწოდა ლევ ტროცკის, 30-იან წლებში კი - ფელიქს ძერჟინსკის სახელი. საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკა; ЧК) ყოფილი შენობა სწორედ ფელიქს ძერჟინსკის ქუჩის 22 ნომერში მდებარეობდა.

Grigol Lortkipanidze’s memorial plaque on the building on 22 Pavle Ingorokva street

In 1903, for the 200th anniversary of the founding of Petersburg, Laboratory Street was named after Peter the Great. During the First Republic, Grigol Lortkipanidze lived in this building on Peter the Great street.

In 1923, the street was named after Lev Trotsky and in the 1930s – after Felix Dzerzhinsky. The building of the Extraordinary Commission of Georgia was located on 22 Felix Dzerzhinsky street.



სახლი, სადაც დაიბადა გრიგოლ ლორთქიფანიძე (სოფ. ისრიტი, ვანის რაიონი).
უთარილო [დაახლ. XX საუკუნის II ნახ.]

The house where Grigol Lortkipanidze was born (village Isriti, Vani region). Without a
date [approx.. II half of the XX century]

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



გრიგოლ ლორთქიფანიძის
მეუღლე, ლიუბა ავრამენკო.
უთარილო [დაახლ. XX საუკუნის
II ნახ.]

Grigol Lortkipanidze's wife, Lyuba
Avramenko. Without a date [approx.
II half of the XX century]

დაცულია საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National
Centre of Manuscripts



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვანია, საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე, გურამ შარაძე და გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე გრიგოლ ლორთქიფანიძის პირადი არქივის ნაწილის სახელმწიფო კომისიისთვის გადაცემის დროს. თბილისი, საქართველოს პარლამენტი. 28 დეკემბერი, 1997

Chairman of the Parliament of Georgia, Zurab Zhvania, the Head of the Committee on Migration and the Issues of Compatriots Living Abroad, Guram Sharadze and Grigol Lortkipanidze's son, Teimuraz Lortkipanidze during the transfer of the part of Grigol Lortkipanidze's archive to the state commission. Tbilisi, the Parliament of Georgia. 28 December 1997

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



თეიმურაზ გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე (1920-2015) – მეცნიერი, გამომგონებელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. დააარსა გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება, მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიურად იღვანა მამის საქმიანობის შესასწავლად და მისი ხსოვნის შენარჩუნებისათვის.

Teimuraz Lortkipanidze (1920-2015) – scientist, inventor, Candidate of technical sciences. He established Grigol Lorkiphanidze's Society. For his whole life, he endeavored to study the works of his father and commemorate him.

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts



დარეჯან გრიგოლის ასული ლორთქიფანიძე (1917-2006) - პედიატრი. თბილისის ბავშვთა №1 საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

Darejan Lortkipanidze (1917-2006) – Pediatrician. The head of the Department of the №1 Childrens' Hospital of Tbilisi.

დაცულია საოჯახო არქივში
Preserved in the family archive



ნოდარ გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე (1929-2002) - ინჟინერი. მეტროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი.

Nodar Lortkipanidze (1929-2002) – Engineer. A scientist at the Metrology Institute.

დაცულია საოჯახო არქივში
Preserved in the family archive



და ბოლოს...

AND FINALLY...

Handwritten text in Georgian script, likely a testament or letter, dated 1925. The text is dense and covers most of the page.

Handwritten text in Georgian script, likely a testament or letter, dated 1925. The text is dense and covers most of the page.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ანდერძი. 9 იანვარი, 1925

გრიგოლ ლორთქიფანიძე თავისი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დააპატიმრეს და გადაასახლეს. იყო მებრძოლი ხასიათის, მტკიცე, იმედით სავსე ადამიანი, თუმცა, რაკი იცნობდა ჩეკას საქმეებს, ყველაფრისთვის მზად იყო, ყოველდღე ელოდა, როდის გახდებოდა საბჭოთა ხელისუფლების მსხვერპლი... გრიგოლის პირად არქივში დაცულია მისი საოჯახო და პოლიტიკური ანდერძი, რომლებიც რუსეთში, სუბდალის ციხეშია დანერვილი.

Grigol Lortkipanidze's testament. 9 January 1925

Girgol Lortkipanidze was arrested and resettled numerous times. He had a fighter, strong and hopeful character but, as long as he was familiar with the Cheka cases, he was ready for everything. He was waiting to become a victim of the Soviet authority every day... In his family archives, his testament is preserved, which was written in the Suzdal Prison.

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
Preserved at the Georgian National Centre of Manuscripts

გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი - ანდერძი

„ძვირფასო ჩემო მეუღლე - მეგობარო, ლიუბა, ჩემო სანუკვარო შვილებო, დარეჯან და თეიმურაზ და ჩემო უმცროსი ძმისა და უფროსი შვილის მაგიერო ნიკო, მოგეხვევით და მხურვალეთ ჩაგკოცნით ყველას. ამ საერთო წერილს, აი, რატომ გწერთ. სრული იმედი მაქვს, რომ მომეცემა საშუალება თქვენთან თავისუფლათ ცხოვრებისა. მე ჯანზედ ჩვეულებრივად კარგად ვარ, თავსაც სრულიათ მხნეთა ვგრძნობ, მაგრამ ჩვენ ძლიერ რთულ პირობებსა და დროში ვცხოვრობთ, მე ხომ სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვარ - ტყვეობასა და მძევლობაში და ამიტომ ყველაფერი მოსალოდნელია. ამასთანავე, ქართული ანდაზაა, რომ ანდერძს კაცი არ მოუკლავს, და აი, მეც მინდა ამ ბარათით გაცნობოთ თქვენ ჩემი ნებისყოფა, სურვილი და ზოგიც უბრალო რჩევა იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა, ველარ გნახოთ.

მე არ ვიცი, მაქვს თუ არა რაიმე ქონება და საერთოთ ნივთიერი უფლებანი, მაგრამ თუ ეხლანდელი, ან მერმინდელი კანონით რაიმე ამგვარი უფლება მაქვს, ან მექნება მამაჩემის ქონებაზე და სხვა, ჩემი სურვილია, რომ ეს უფლება ჩემი მშობლებისა და ჩემს შემდეგ გადავიდეს თანაბრათ ჩემს შვილებზე - დარეჯანზე და თეიმურაზზე, ჩემს მეუღლეზე - ლიუბაზე და ჩემს დისშვილებზე - ნიკო სურგულაძეზე.

თუ რაიმე ლიტერატურული მემკვიდრეობა დამრჩა, მისი განკარგულება ეკუთვნის ჩემი ნების ამსრულებელ მეგობრებს. ჩემი მეუღლის მხრით ჩემი ხსოვნისადმი უაღრესი პატივისცემა იქნება, თუ კი ის არ დასტოვებს საქართველოს და არ გათხოვდება არაქართველზე (ჩემს ასეთ სურვილსა და განცდას, ვფიქრობ, ყველა მიხვდება საერთოდ დღევანდელ ჩვენს პირობებში და განსაკუთრებით კი ჩემს მდგომარეობაში). მე დარწმუნებული ვარ, რომ ის სხვაფერ არ მოიქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აღარ ექნებოდა ჩემ ხსოვნისადმი მეგობრობის გრძნობა და თვითონ უნდა ამოიშალოს ჩემ მემკვიდრეთა რიცხვიდან. მე არ ვიცი, ექნებათ თუ არა ჩემს შვილებს შეძლება, მიიღონ განათლება. თუ კი ასეთი საშუალება ექნებათ, მაშინ ჩემი კატეგორიული ნებაა, რომ იმათ საქართველოში დაასრულონ ქართული განათლება და თუ ისეთი შემთხვევაც ექნეს, რომ საქართველოში მიღებულ სწავლის გაფართოება საქართველოს გარეშე მოუხდეთ, ეს უნდა იქნეს დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში.

ჩემი მტკიცე სურვილია, თუ ვინცობაა, რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალე, ნურავითარ შემთხვევაში ნუ ჩამოვა ამჟამად ჩემი მეუღლე და ან სხვა წირისუფალი. რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია სამშობლო მიწის გულში ჩახუტება, მაგრამ ეს მეტად ძნელი იქნება და სანამ თვით საქართველო ამგვარ ტყვეობაშია, მე მიჩვენია ვიქნე ამ ორმაგ ტყვეობაში და როდესაც საქართველო შესძლებს თავის შვილების დატყვევებულ ნეშტების თავის მოყრას, როდესაც ის თავის გულში მიისვენებს უცხოეთში, სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთში ობლათ მიტოვებულ ისეთ ჩვენს დიდ ეროვნულ საფლავებს, როგორცაა, მაგალითად, სოლომონ მეფის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ვახტანგის, ვახუშტის და გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმესი და სხვათა, მხოლოდ მერმეთაა დასაშვები ზრუნვა ჩვენი თაობის ასეთ საფლავთა შესახებ, როგორცაა ჩემი ძვირფასი მეგობრის ალექსანდრე ლომთათიძის, სტეფანე ახმეტელაშვილის და სხვათა ტყვე საფლავები. და თუ ვინცობაა, ველირსო სამშობლო მიწის გულში ჩასვენებას, მე ავირჩევდი, დავფლულიყავი არა იქ, სადაც მე დავიბადე, არცა საქართველოს დედაქალაქში ჩვენს ძვირფასსა და სანუკვარ თბილისში, არამედ იმ მხარეში, სადაც დაიბადა და დაირწა ქართველ ხალხის კულტურის აკვანი და რომლის ნახვა მე ვერ მოვასწარ; სახელდობრ, დიდ ისტორიულ მესხეთის რომელიმე ნაწილში, სადაც მე გადავსახლდებოდი, რომ საერთოდ ამის შესაძლებლობა მქონოდა.. ჩვენი გვარეულობა, ჩემო ძვირფასო შვილებო, აქედანაა, იქ დღესაც ცხოვრობენ ჩვენი გვარის კაცები, ისინი ისლამის სჯულზე არიან ძველ დროს იძულებით გადანათლულნი, მაგრამ მაინც ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცნი არიან. თუ საშუალება მოგეცათ, ეცადეთ დაუბრუნდეთ ამ ჩვენს ძველ კერას, ჩვენს აკვანსა და ქართველი ხალხის წარსულ და მომავალ საერთო სანატორიუმს და დასახლდით, მაგალითად, ახალციხის, ანდა დაახლოებით ბენარას მიდამოებში, სადაც მომავალში იქნება, უნდა იქნეს, დიდი გზაჯვარედინი, როდესაც თავისუფალი, აღორძინებული და ფრთა გაშლილი ჩვენი სამშობლო გაიყვანს დიდ რკინის გზებს (ქუთაისიდან ზეკარ ქვეშ არტაან-ერუშეთზე და იქეთ და მეორეს ბათომიდან ქედა-ხულო-ბენერა-ახალციხე და შემდეგ ბორჯომ-ჯავახეთისკენ) და ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი თანამგრძობი და თანამგზავრი იმოვოთ ამ გადასახლების საქმეში. მე კი, ჩემო ძვირფასო, თუ საერთოთ შესაძლებელი იქნება ჩემი წასვენება სამშობლოში, დამფალით დაახლოებით სადმე იმავე მხარეში, ახალციხის,

ან მის რაიონში იმავე ბენარაში...

...არ ვიცი, ამ ქართველი ხალხისთვის საშინელ დროს ვინ და როგორ გადარჩება და დარჩება ჩემი მეგობრებიდან. ამიტომ ვასახელებ ნების აღმსრულებელთა მოზრდილ სიას, რომლისაგან მსურველნი და თანამგრძობნი ამ წერილისა იზრუნებენ ჩემი ნების განსახორციელებლად. ვთხოვ აკაკი ჩხენკელს, ჩიტო შარაშიძეს, გიორგი კონიაშვილს, ვანო ჯაფარიძეს, ნიკო ჯანელიძეს (კოლიას), შალვა სუხოშვილს, გაგი ძიძავას (ეს სამი ტყვეობაში არიან ამჟამად) და ლეო რუხაძეს (რომელიც ამჟამად ჩემთან ცხოვრობს სუზდალის საპყრობილეში და ამ ბარათის სინამდვილეს ამოწმებს) თანახმად თავიანთი ნებაყოფლობითი სურვილისა, მიიღონ თავისთავზე ზრუნვა ჩემი ნების ასრულებისა.“

გრიგოლ სპირიდონის-ძე ლორთქიფანიძე

რუსეთი. ვლადიმერის გუბ. ქ. სუზდალი, სამონასტრო საპყრობილე, საკანი № 32.

გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძის სრულ ჯანმრთელობასა და ამ ბარათის სინამდვილეს ვამოწმებ ლეო რუხაძე, ქ. სუზდალი, ვლად. გუბ., სამონასტრო საპყრობილე, საკანი № 32. იანვრის 9-სა დღესა 1925 წელსა.

Grigol Lortkipanidze's testament

„My dear wife, Lyuba, children – Darejan and Teimuraz and a brother-in-law and a son-in-law, Niko send you kissed! I hope I will be able to live with you. I feel fine but we have to survive in difficult conditions and I should expect anything. As a Georgian saying puts it, a testament has not killed anyone. With this letter, I want to let you know my will, in case I will not be able to meet you in future anymore.

I do not know if I have any property but if I own something, my will is to delegate my rights to my children – Darejan and Teimuraz, my wife - Lyuba and my son-in-law – Niko Surguladze after my father and me.

If I have any literary inheritance, my friends should be in charge of it. It would be a tribute to my memory if my wife does not leave Georgia and does not marry a foreigner. I am sure that she will not behave otherwise. Otherwise, she should remove her name from the list of my heirs herself. If my children have a chance to get education, then it is my will for them to receive the Georgian education in Georgia. If they have a chance to broaden their knowledge abroad, they should do this in one of the countries of Western Europe.

It is my will that my wife or anyone else should not arrive if I die in Russia's captivity. Of course, I want to be buried in Georgia but it will be difficult and I would rather stay in this double captivity until Georgia will be able to receive the corpses of its sons. If I can be buried in Georgia, I would choose neither my birthplace nor the capital but – Meskheti where I would have lived if I had a chance. My family originates from here. Some of them still live there, they have been converted to Islam forcefully. If you have a chance, return to this place and settle near Akhaltsikhe or Benara, which will become a crossroad when the independent Georgia builds a railroad there. Try to find as many companions as possible. Bury me somewhere nearby there, in Akhaltsikhe or Benara...

I do not know who will survive in these difficult times out of my friends. For this, I write down a long list of those people who should carry out my will. I ask Akaki Chkhenkeli, Chito Sharashidze, Giorgi Koniashvili, Vano Japaridze, Niko Janelidze, Shalva Sukhoshvili, Gagi Dzidzava and Leo Rukhadze to carry out my will if they also wish so.“

Russia, the Cheka cases, City of Suzdal, Monasterial Prison. Cell № 32.

I, Leo Rukhadze confirm that Grigol Lortkipanidze is in a good health and the authenticity of this letter. City of Suzdal, Vladimir District, Monasterial Prison, Cell № 32. 9 January 1925.

